



პრსენა

ორი კალენდრით

№1 (148). 6-19 იანვარი, 2012 წ.

იგივე ქრანალი. ფასი 1,5 ლარი.

რა სავაჭრო
ტექნიკა შეიძინა
ქართულმა
არმიამ

რუსი სანიტარების
ავსტრიული
შაშხანები



ორგანიზაციის სტრუქტურის
საინჟინერო-ტექნიკური...

მინისტრის, გორბატოვი,
სუბსტიტუტით?




ზემოქველანის
ოპერაციები

45



შემხველი
ბრძოლა

17




XX სუქუნის 20-30
წლების ამერიკული
ჯავშანავზომოვილები...

31

Су-25-ის ახალი
რუსული ვარიანტი

12



„წითელი
ნაპოლეონი“

42



გაცვლა

50



სარჩევნი

- 4 **სამხალაო სიხაზღაბი** **კალაიროსოი**
- 8 **რა საბრალოო გჰენიკა შეიძინა ქართულა პრეზიდა** **შესიოღეპი**
- 10 **კავკასიური მოვლანგის მიოხილვა** **რეპიონი**
- 12 **Cy-25-ის ახალი რუსული პარიანგი** **საფრისა**
- 14 **ორგანიზის სრუტის საიღაშლოვანგი** **კრიონი**
- 16 **ჩინური „ნოუ-პაუ“** **ახალი გჰენიკა**
- 17 **შეხვედარი ბრაოლა** **ბაქიკა**
- 20 **რუსეთ-საქართველო: ჯაშუშოგანიის მიოჩიბი ნრა ინჰაბა?** **საიღაშლო ფრონგი**
- 23 **გაიჰანი: მიოჩინაღარი ჩინეთის პრესაღარტი ფორაოუსტი** **კრიონსაბი, კონფლიქტაბი, მოგაბი**
- 31 **ამერიკული ჯაშუშგჰენიკა — ჯაშუშგჰეოროგიღეპი, თიოთგავალი პრიოღარი და აშოგინიბი** **ინოვაციური გჰენოლოგიბი**
- 36 **ქონგაზარი იარაღი** **სამხალაო ინჰორობი**
- 39 **რაჭოე პრ მოხონა მოსოვის ქუთათური ჯაშუშგჰენიკა?** **ამერიკის ნარსული**
- 42 **„ნითელი ნაოლონო“** **საეღანაყოფიბი**
- 45 **ზემოქვედგის ოგარაინიბი** **100 ღილი გხაღარეთოთაპარი**
- 48 **ათელსგანი** **მითსოგაბი**
- 50 **გაგვლა** **„არსენალის“ იარაღის გაღაზი**
- 53 **ავსტრიული გჰენან რუნი სნაიპარეპისტოთი**

რეღაქიონსან

მერე წელია, რაც „არსენალი“ თაგის ერთელი მკითხეღის გენდიოთა. სკეიღისებული და დამოკიღებული საინფორმაციო კურალის გომოგება, რომელიც თეოღაფინსებანგა, გეკრწმუნო, ნიღელიად არ არის აღვლი. მით უმეტეს იმ ვითარებამ, რაც დღეს საქართველოში ხდება, ყველა გნა, რომლიაც შეიღებოდა იმიტოროად გამუქებელი დეკონდელი ქართული არმიის ცხეოგება, მისი ჰოროგრაბი, სარაზულია და არა მარტო „არსენალისთვის“. ამას დეგეტა ხელისუღეღის მკეღიღობა პრესის თეისოღელი გერეღეღების მაქსიმალურად შესეღეღება თიღისში, რამაც, ბუნებრივად, იმიტელა კურალ-განკიღების გეიღეფე. გამიღლის არც „არსენალი“, რომელიც მოუღდად ხელისუღრად შექსნილი პრიოღებისა, მარტო აგრეღეღებს მუქობას. ერთელი მკითხეღის კურაოთი, რომ არ შექსნას პრიოღეღება „არსენალის“ ახალი ნომრების მენსას ქეღეღიდან გამქრალი საგანიო ვეზურების გამო, გამიღრონ „არსენალი“, რომლისაც შინ მოუტანტ. კიდე ერთელი გიღეღეკოთ ახალ, 2012 წელს „არსენალი“ კლეკეც ბეკრ სახელესა და სეკრპრეზის გეორეღობი!

შეღარი რეღაქტორი
ირაკლი აღღაგშიოლი
პასუხისმგებელი რეღაქტორი
თემურ ჩანანიკი
კომპიუტერული უზრუნველოფა
ღატიო მონსაფიოლი

შურაღეღაბა!
გამიოფრემთ „ბრსენალი“
და გიიღეღი შიგ.
ორ კვირაში მროთსეღ!
ტიღლ: 238-26-74; 238-26-73

რეღაქციის დავკითხაგად
განსაღეღის გაღაგეტიღვა
აბრაღაღულია

გაღაგეღულია დანაგეტიღად
30.12.2011

განგით „კვირის კალიტრის“
ღაგაბგაბა ©
რეღაქციის მინსაგარეღი:
თიღიისი, იონგეღიის ქ. N49
ტიღლ: 238-83-07 (121)

სარეკლამო გენოოფიღეღა:
ტიღლ: 237-78-07; 238-78-70
email: arsenal@kvirispalitra.com
შურსენალი გეოროღის
ორ კვირაში მროთსეღ
პარანსკეღს

ფილიპინელები F-16 ითხოვენ



ფილიპინების თავდაცვის სამინისტრომ აშშ-ს თხოვნით მიმართა, უსასყიდლოდ დაუთმოს 12 ჩამოწერილი ავიაციანადგურებული F-16 Fighting Falcon-ი. მიზეზი ბანალურია — ფილიპინელებს სამოწალოდ საჭიჭ უსასწრობის გამო გაუხდათ, რის გამოც ახალი თვითმფრინავების შექმნას ვერ აზერებენ, თუმცა იმდენს თავი კი აქვთ, რომ ჩამოწერილი საფრენი საშუალებები გაარემონტონ და განახლონ.

ამ დროისთვის ფილიპინების სამხედრო-საჰაერო ძალების საბრძოლო ავიაციის პარკი სულ 12 მთიერიშე OV-10 Bronco-ს, 21 სასწრაფო-საბრძოლო თვითმფრინავ SF-260/F-ს, 6 — S211-სა და 20 დამრტემელ შეუკლმფრენ MD520-ს ითვლის. ახალი საბრძოლო თვითმფრინავების საჭიროებას კი ქვეყნის სამხედრო უწყება ნათვით მიდართავთ ტერიტორიული წყლების ჩინეთისგან დაცვის აუცილებლობით ხსნის.

ფილიპინელთათვის დახმარების გაწევის თაობაზე პენტაგონის სამხედრო თანამშრომლობის განყოფილებას კონგრესისთვის გერჯერობით არ უცნობია. იმ შემთხვევაში, თუ ამერიკელები მოკავშირე ფილიპინელების დახმარებას მაინც გადაწყვეტენ, ეს იმავე სქემით მოხდება, როგორც ინდონეზიის შემთხვევაში იყო. ამ უკანასკნელმა აშშ-ისგან საჩუქრად 24 გამანადგურებელი F-16-I მიიღო.

როგორმანია ინდურად

თავდაცვის სფეროში კვლევებისა და გამოვლენების ინდურმა ორგანიზაციამ (DRDO)-მ ქვეყნის სახმელეთო ჯარებისთვის ქვეითი რობოტების შექმნას მიჰყო ხელი. პროგრამა 94,3 მლნ დოლარად ფრსდება და რამდენიმე აპარატის შექმნა იგეგმება, რომლებსაც დახვეწისთვის, თვალთვალისა და ასაფეთქებელი მოწყობილობების გაუყენებლებისთვის გამოიყენებენ.

ორგანიზაციის ლაბორატორიამ უკვე დაიწყო რადიაციული, ქიმიური და ბიოლოგიური თვადცვის რობოტზე მუშაობა.

აპარატი 2012 წელს შხად იქნება და გარემოზე მონიტორინგს სხვადასხვა სენსორით განახორციელებს, სამოქმედო რადიუსი კი 5 კმ-ით არის განსაზღვრული.

პარალელურად მუშაობა რობოტ Takshak-ზეც მიმდინარეობს, რომელსაც სამხედროები საეჭვო სტრანსპორტო საშუალებათა დთვალიერებისა და იქ აღმოჩენილ ფთქებად საშუალებათა გასუენებლად გამოიყენებენ.

DRDO კიდევ უფრო შორს მიდის და რობოტი-მეომრის შექმნასაც იგეგმავს.

ქმნასაც ემუშება, რომელიც სხვადასხვა სახის შეიარაღებით იქნება აღჭურვილი. ინდურ შეიარაღებულ ძალებში გამოყენილი რობოტები და რობოტიზებული სისტემები ერთიანი, უნიფერსალური პლატფორმით იმოქმედებენ.



ახსოვონა სამოავლო შეუკლმფრენი დაგება

პენტაგონი ახალი თაობის შეუკლმფრენზე მუშაობას იწყებს. ახალ აპარატს გაუმჯობესებული ავიონიკა, გაზრდილი ფრენის მანძილი, სინქრე, გამძლეობა და ტვირთაძწეობა ექნება.

პროგრამა JMR გათვლილია შეუკლმფრენზე, რომლის საბრძოლო რაიონი 424 კმ, კრისიერული სინქრე კი სთ-ში 314 კმ იქნება, ხოლო 35 გრადუს ტემპერატურაზე საბრძოლო ტვირთის 1,8 კმ სიმაღლეზე ატანა უნდა შეეძლოს.

ახალი თაობის შეუკლმფრენს უპილოტო რეჟიმში ფრენა და შეიარაღების დისტანციურად გამოყენებაც შეეძლება. აქედან გამომდინარე, ოფიციალურად ის პილოტირებადი იქნება, მაგრამ საშიშ დეკალეგებს უპილოტოდ შესარულებს. მაგალითად, ბრილის კვლევ ტვირთის ტრანსპორტირებას ან ჯარისკაცების ევაკუაციის ოპრაციას.

პროგრამა JMR-ით შექმნილი მომავლის შეუკლმფრენის პროტოტაი მომავალ წელს გამოჩნდება. საცდელი ფრენა 2017 წლისთვის იგეგმება, საუკეთესო მოდელები კი 2030 წლისთვის გამოვლინდება.



ნასპიკებში გვიან უფრო ზუსტსა და უხევეროს ხლის

ცეცხლსასროლი იარაღის გამოიგონების შემდგომ ტყვია მუდმივად უმჯობესდებოდა და დღეს ის თითქმის სრულყოფილია, მაგრამ იტალიელი სპეციალისტები ასე არ ფიქრობდნენ და ხანგრძლივი მუშაობის შემდეგ ორიგინალური ტყვია Comp Bullet-ით წარმოადგინეს.

Comp-ს უჩვეულო კონსტრუქცი აქვს, ფსკერი ბოლოში გახერხებულია და კედლებში გავერხებულ პატარა-პატარა ნასპიკებთან არის დაკავშირებული. ამის ხარჯზე გასროლა უფრო ხმაურით, სწრაფი და ნაკლებუკუდარტყმიანია.

ჩვეულებრივად დეფლაცარციონს პროცესში (დენიის აფეთქებით წყა) წარმოქმნილი არტები მაღალი წნეებით ტყვიას უკნიდან აწევა, აიძულებს, დასძლიოს ლულის კედლების დარტყმის წინააღმდეგობა, ხაზუნის ძალა და შემდეგ გარეთ ხმაურით გამოიფორცნოს.

Comp Bullet-ით გასროლისას არტები ტყვიის დრუდან კედლების ხრელებში აღწევენ, ამცირებენ ლულისთან ხაზუნის ძალას და შედეგად ტყვიის საწიხის სიქარე



იზრდება. ამასთან, ტყვიაში მაღალი სიზუსტითა და სიმეტრიულობით გავერხებულ ნასპიკების მეშვეობით გასროლისას უკუცემის ძალა კლებულობს და შედეგად მაღალი ტემპით სროლის სიზუსტე მატულობს.

სხვა საქმეა, რომ ამ ახალი ტექნოლოგიით შექმნილი ტყვია საკმაოდ ძვირია და მისი მასობრივად გერეკლება, მაგალითად, არმიანში, საეჭვია. თუმცა, სამართალდამცველი ორგანიზაციისა და სპეცსამსახურების ყურადღებას, აღბაო, დაიმსახურებს.

გრიგანული პოლიცია დააბრკავებელ უახუნას გამოიყენებს



ახლო მომავალში ბრიტანული პოლიციის შეიარაღებაში შევა ახალი ლაზერული იარაღი — SMU 100, რომელიც განსაზღვრული დროით ადამიანის შედეგულობის პარალიზებას შეძლებს.

SMU 100 შაშხანას ჩამოკავებს და მას პოლიციელები ქუჩის უწყნაროების აღსაკვეთად გამოიყენებენ. 30 ათას ვერო დიურებული ეს მოწყობილობა 3 მ დიამეტრის შუქის ლაქას ქმნის და მისი ზემოქმედებას ქვეშ მყოფი ადამიანი თავარა მზისთვის ხანგრძლივად თვალის გასწორების მსგავს ეფექტს განიცდი.

ლაზერული შაშხანა ინფრაწითელი დამიზნების სისტემითაა აღჭურვილი და 500 მ დისტანციაზე მოქმედებს.


ახალი იარაღის პირველმა ცდებმა წარმატებით ჩაიარა და ხელისუფლებამ უკვე განაცხადა, რომ მას არეულობის აღსაკვეთად უმაღლ გამოიყენებს, თუკი ბრიტანეთში აგვისტოს ცნობილი მოვლენების მსგავსი განმეორდება.

ჯარისკაცებს ნიკაულ-პარალიტიკური გაზისგან თავდასაცემად დაიცავს თამბაქოს გამოყენებით თივალისწინებას

თავდაცვით სფეროში კვლევითი ხაზგეხტო DARPA ახალ პროექტზე მუშაობას შეუდგა, რომელიც ნერვულ-პარალიტიკური გაზისგან ჯარისკაცების დაცვას თამბაქოს გამოყენებით თივალისწინებას.


რაოდენ გასაკვირიც უნდა იყოს, ნერვულ-პარალიტიკური მომწამლებელი ნეთიერებები მასობრივი განადგურების ეფექტურ ხაზში იარაღად მაინც რჩება. ბიოთრული და ბიოლოგიური იარაღისგან განსხვავებით, მისი დამზადება და მიწნამდე მიტანა იოლია და თან, გამოყენებისას შედეგები პირუცნობირებადაა. არადა, მსოფლიოში ამ მომწამლებელი ნეთიერებების გვიანტური მარაგია გაზრდილი, რისგანაც თავის დასაცემა ეფექტური საშუალება აქმნე არ გამოუგონებიათ. პრობლემას ისიც ამძაფრებს, რომ თანამედროვე შაშხანისწინააღმდეგო საშუალებები, რომელთა მოზნებება ჯანმრთელობას ისედაც არ არტებს, ნერვულ-პარალიტიკურ გაზებს ვერ შლის და მხოლოდ მისგან გამოჩევეულ ნეთროტოქსიკურ სიმპტომებს ებრძვის.

და აი, DARPA-ს სპეციალისტებმა ნერვულ-პარალიტიკური გაზის ზემოქმედებისგან თავდასაცემა ახალ საშუალებას მიაგნეს. საამისოდ ისინი გენმოდოფირებული თამბაქოს მცენარის გამოყენებას აპირებენ, რომლისგანაც დევიდის სპეციალურ ფერმენტს — ბუტირილქოლინესტერაზას მიიღებენ. სხვა შაშხანისწინააღმდეგო საშუალებებისგან განსხვავებით, ეს ფერმენტი რეაქციაში შედის ტოქსიკურ ქიმიურ აგენტებთან და მათ მანამდე შლის, სანამ ისინი ადამიანის ნერვულ სისტემაზე ზემოქმედებას დაიწყებენ. ის, რომ ბუტირილქოლინესტერაზას მოზმარება უსაფრთხოა ჯანმრთელობისთვის, ცხოველებსა და ადამიანებზე ჩატარებული ექსპერიმენტებით დადგინდა.



**თავითურაინავენი
გარკონსონ უეგოჭაჟი
ნიუ-იორკელი ავიაკოვანიას
სასაბარტლონი უივიონ**

წყალქვეშა ნაგვიონ ჟა სკულდუა?



თვდაცვის სფეროში კვლევების სააგენტო DARPA-მ ოკეანეში წყალქვეშა ნაგებზე სათვალთვალო უბილოტო მცურავ აპარატ ACTUV-ზე მუშაობის გაგრძელების შესახებ ცნობა გაავრცელა. სპეციალისტთა შეფასებით, პროექტი ACTUV თუ წარმატებით დასრულდება, მანინ მსოფლიო არენაზე ძალია თანაფარდობის კარდინალურ ცვლილებას უნდა ველოდო. საქმე ის არის, რომ ბირთვულ სახელმწიფოთა უმეტესობა, მათ შორის — აშშ, ძირითადად, ძნელად აღმოსაჩენ წყალქვეშა რაკეტშიდებს ვერდნობა. ატომური იმის შემთხვევაში სწორედ კონტინენტშირისი ბალისტიკური რაკეტებით აღჭურვილ წყალქვეშა ნაგებს შეეძლებათ გარანტირებული საპასუხო ბირთვული დარტყმის შესრულება. ახალი ACTUV-ს კლასის უბილოტო მცურავი სისტემები ბაზირების ადგილებიდან 3 ათას კმ-ის რადიუსში დისტანციურად ავტონომიურ რეჟიმში წყალქვეშა ნაგებს უთვალთვალებენ. ოკეანის სიღრმეში 80 დღე-ღამის განმავლობაში მცურავე აპარატი მოჭინაბადმდგგების წყალქვეშა ნავს აქტიური პი-დროაკუსტიკური სადგურით აღმოაჩენს. წინასწარი გათვლებით ACTUV-ის ღირებულებამ 20 მლნ დოლარს არ უნდა გადააჭარბოს, ხოლო მისი მოხმარების ვადა 15 წელი იქნება. უბილოტო მცურავი აპარატის პროექტზე მუშაობა საერაულოდ კიდევ 4-5 წელი გაგრძელდება.




**კალიტოპრთი აკიონსა ღა
კაჟუვლას ღაჟეგოგრაღ**

რა შეიძლება აკავშირებდეს კალიტოპურთსა ღა სამხედრო საქმეს ერთმანეთინ? პასუხად რადაც-რადაცების მოფიქრება შეიძლება, პირველ რიგში კი, ალბათ, საქართველოს თვდაცვის სამინისტროს საკალიტოპურთო კლუბი „არმია“ გაგვახსენდება...

თუქცა ამჟერად არა ქართულ, არამედ ოკეანისგამდელთა საკალიტოპურთო ღივა NBA-სა ღა მის გუნდ „ტორონტო რეპტორსზე“ მოგახსენებთ, რომქმლც თავის ახალი სათამაში ფორმის შეფერილობისთვის კამუფლაჟი არჩია.

ცნობისთვის, ამერიკის საკალიტოპურთო ასოციაციაში მოთამაშე „კლემპტორის“ კანადური გუნდია ღა მისმა ხელმძღვანელებმა „სამხედრო სპორტულ ფორმაზე“ არჩევანი იმპროტ შეაჩერეს, რომ ამით ავღანეთში მყოფი კანადელი სამხედროებისთვის პატეისცეკვის გამოხატუვა სურთ. „ტორონტოს“ ხელმძღვანელობას სამხედროებთან თბილი ურთიერთობა აქვს. ცოტა ხნის წინ კლუბის ვიდე-პრეზიდენტი ტომ ენსელში სამხედროთა მოსანახულებლად ავღანეთშიც ჩავიდა.



საინტერესო ღა სახალისო ამბავია — ნიუ-იორკის მცხოვრები, ვინმე თოფილის მურანგე ორ ავიაკომპანიას იმ ტრავებებისთვის უჩუვის, რომლებიც, მისევე თქმით, ორი წლის წინ, ამსტერდამი-დეტროიტის რეისის დროს თვითმფრინავში ტერორისტის გაუგუნელებისას მიიღო.

მანქტენის ფედერალურ სასამართლოში მოპასუხებუდა ავიაკომპანიები: Delta Airlines-ი ღა Air France-KLM-ი წარდებიან.

თოფილისი აცხადებს, რომ ამ ავიაკომპანიებმა დაუდევრობა გამოიჩინეს, როცა ნიგერიელი ტერორისტი უმარ ფარუქ აბდულმუთალაბი თვითმფრინავის პორტზე აუშვეს.

კონკრეტულად, რა ტრავებები მიიღო მან დამნაშავეის გაუგუნელებისას ღა რა როლი შეასრულა იმ ინციდენტში, უცნობია. არადა, აქამდე ცნობილი იყო, რომ ნიგერიელი ტერორისტი სულ სხვაიმ — თვითმფრინავის სალონიში დამნაშავეის გვერდით მჯდომმა პოლანდიელმა მოგვარულმა კინორეჟისორმა ჯასპერ შურინგმა გაკოჭა.

ამსტერდამი-დეტროიტის რეისის თვითმფრინავის პორტზე ტერაქტის მოქცობა 2009 წლის 25 დეკემბერს სცადეს.

ჯაკოსიას ილალი ხეალ ნეკილიუნი სჩირეა და საკუთარ გინაუნი

ტრაგიკომიკური ამბავი გადახდა თავს 22 წლის ამერიკელ სამხედრო მოსამსახურე კრისტოფერ სალიფანს. პირველად მას ავღანურ მისიაში ყოფნისას არ გაუმართლა, როდესაც ყანდარის რაიონში თვითმკვლელი-ტერორისტის აფეთქებისგან დაზარალდა. ერთი წლის შემდეგ კი უფრო დიდი ზიან

ნი, როდენ უცნაურიც უნდა იყოს, კალიფორნიის შტატში, საკუთარ ჭერქვეშ ქეიფისას მიადგა, — სამხედრო მედლით „მჭაქმული გულით“ დაჯილდოებულ 22 წლის სალიფანს თანამეინახემ ცეცხლსასროლი იარაღი ზურგში ორჯერ დაახალა.

არადა, სალიფანების ოჯახში წვეულება სწორედ კრისტოფერის შინ დაბრუნებას მიეძღვნა. შეზარხოშებულმა სტუმარ-მასპინძელმა სჯა-ბაასი ავღანური ომის თემიდან ამერიკულ ფეხბურთზე გადაიტანა და სწორედ მაშინ ატყდა გაწვე-გამწვევი. განსაკუთრებით კრისტოფერის ძმის ერთ-ერთი მეგობარი გაცხარებულა და სროლა გაუჩაღებია.

უბედური კრისტოფერი, რომელსაც ტყვიამ ხერხემალი დაუზიანა, პარალიზებული და კრიტიკულ მდგომარეობაშია.



პილოტიკაბული და უპილოტო სავაჟინი პაკაგავონ „ფლავიკი“ გათანაბრება



გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მთავრობას გადაწყვეტილი აქვს კანონში სამოქალაქო ავიაციის ცვლილებები შეიტანოს და უპილოტო საფრენ აპარატებს ქვეყნის ცაში ფრენის ნება დაართოს. ტრანსპორტის სამინისტროს მომზადებულ ცვლილებებში გაუქმდება მძიმე უპილოტო საფრენ აპარატებზე დაწესებული აკრძალვები. ამჟამად ვიდეოკამერებით აღჭურვილ მსუბუქ უპილოტოებს პოლიცია იყენებს და გერმანელთა დიდი ნაწილი მას უნდობლობით უყურებს და ეშინია, რომ თავზე არ დაეცეს.

რუსეაა მოგონილზე საპოლოლ თქვეს უარი



რუსეთის თავდაცვის სამინისტრომ ხანგრძლივი ჭოჭმანის შემდეგ საბოლოოდ თქვა უარი ქვეითათვის, მვერავებისა და მედსანტეებისთვის მოტოციკლების შესყიდვაზე. არადა, ბოლო ორი წლის განმავლობაში რუსები ბჭობდნენ, მოემარაგებინათ თუ არა არმია ტყვიამფრქვევითა და ტანკსაწინააღმდეგო რაკეტებით აღჭურვილი სპეციალური სამთვლიანი მოტოციკლებით.

გადაწყვეტილების მიზეზად სამხედროებს ეკონომიის გაწევა და მოტოციკლის მომწოდებელ ქარხანასთან შეთანხმების მუდღველობა მოკეფოს როგორც ირკვევა, არმთვლები მოტოციკლის მიმწოდებელი ქარხნისგან 10-20 საცდელი მოდელის მიღებას მუქათად ითხოვდნენ, ანგარშსწორებას კი მხოლოდ გამოსაცდელი ვადის გასვლის შემდეგ პპირდებოდნენ, რაც მწარმოებლებს ჭკუაში არ დაუვდათ.

ვევლაფერთან ერთად, ამ სატრანსპორტო საშუალებებისთვის რუსულ არმიაში ადგილი ვერ გამოიძენა და „გოსობორინ-ზაკიზმა“ შესყიდვების ჩამონათვლიდან სულ ამოილო, მათ ადგილზე კი უფრო „თანამედროვე“ კვადროციკლები ჩასვა.





რა საბრძოლო ტექნიკა შეიძინა ქართულმა არმიამ

გააქლივებს თუ არა საქართველოს 41 წლის წინ შექმნილი „გვოზლიკა“?!



წლის ბოლოს პარლამენტში გაიმართა „წლიის ჯგუფის“ უმთავრესი შეხვედრა, რომელზეც თავდაცვის მინისტრმა ბაიო ახალაიამ ასე ახსნა 2011 წლის სამხედრო ბიუჯეტის ზრდის მიზეზები (სტილი დაცულია): „გვექმნდა საუბარი უსაფრთხოების გარემოსთან დაკავშირებით, მიმდინარე საკითხებზე და ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხი იყო მიმდინარე შეცდომები, რომელიც განხორციელდა ამ პერიოდის განმავლობაში“. მინისტრ ახალაიას კვერი დაუკრა პარლამენტის თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარე გივი თარგამაძემ, რომელიც „წლიის ჯგუფის“ ხელმძღვანელიცაა: — „წლიის ჯგუფის“ ინტერესს წარმოადგენდა, მიგველო დეტალური ინფორმაცია, თუ რაში დაიხარჯებოდა თავდაცვის ბიუჯეტის მომატებული თანხები. ამ თვალსაზრისით გასაკვირი არაუცხვებს იქნება, თუკი ვიტყვით, რომ შეიარაღება აღჭურვილობა, არის მისართულება საიბისოდ, რომ ჩვენი ჯარი იგოს ქვეყნარაინა“.

მართალია, ეს ორივე კომენტარი ოდნეუ მწიფე გასაკებია, მაგრამ ის აზრი მაინც გამოეთქანეთ, რომ 2011 წლის ბილიოსთვის ოთხი ათეული მილიონი დღლიარით გაზრდილი სამხედრო ბიუჯეტი შეიარაღებისა და აღჭურვილობის შექმნას მოხზარდა.

შეკსაბამება თუ არა ეს ყოველივე სიმართლეს, რა სახის შეიარაღება იყიდეს ქართული არმიისთვის, იყო თუ

არა საჭირო, ამას უბრალე მოკვდივთ არავინ ეტყვის, თუქა, ჯერჯერობით..

ჯერჯერობით იმიტომ, რომ 2012 წლის შუა ან ბოლო პერიოდში გაეროს სპეციალური რეესტრი, რომელიც აბრალის იმპორტ-ექსპორტს ადრიცხავს, მაინც გამოაქვეყნებს მონაცემებს, თუ რა კლასის, ტიპის და რა რაოდენობით შეიარაღება შეიძინა საქართველომ 2011 წელს. ასეთი მონაცემები მაშინაც დაიდება, თუკი საქართველოს ხელისუფლებამ გაეროს არ მაიწოდა ინფორმაცია. — მასალებს გაეროს შეიარაღების გამყიდველი ქვეყანა გაუგზავნის.

მარჩიელობა არაფერს მოგვიტანს, მაგრამ ინტერნეტში უკვე გვერეცელდა ცნობა იმის შესახებ, რომ 2011 წელს ქართული არმიის შეიარაღებაში გამოიწნდა ახალი ტიპის თვითმავალი პაუბიკა „გვოზლიკა“. თუკი ეს მართალია, გამოდის, თავდაცვის სამინისტროს შეუქმნია 2C1 Гвоздика-ს ტიპის 122 მმ-იანი თვითმავალი პაუბიკები. „გვოზლიკა“, შეიძლება მართლაც სიახლე იგოს ქართული არმიისთვის, თორემ საბჭოთა საარტილერიო დევიზინების შეიარაღებაში ის ჯერ კიდევ 41 წლის წინ გამოიწნდა, როდესაც 1970 წელს

12 ცალი „გვოზლიკა“ ცხინვალის სეპარატული ხელისუფლების განკარგულებაში აგვისტოს ომამდე დიდი ხნით ადრე აღმოიწნდა, როდესაც ისინი ჩრდილო ოსეთში დისლოცირებული რუსული სამხედრო ნაწილიდან ჩაიტანეს



ჩინეთი დღესაც არმიამ 1970 წელს შეიარაღებაში მიიღო მცურავი ავტომატური სპორტიორი მტ-15-ს ბაზაზე შექმნილი თვითმავალი საარტილერიო დანადგარი 2С1 Гвоздика, რომელზეც Д-30 ტიპის 122 მმ-იანი პაუზიცა იყო დამონტაჟებული. „გვოზდიკს“ სიგრძე 7,2 მ, სიგანე 2,8, სიმაღლე 2,7 მ-ია, კლირენსი 400 მმ-ს შეადგენს. თვითმავალი საარტილერიო დანადგარის საბრძოლო მასა 15,7 ტონაა. იგი შეჯავშნულია ტყეფისაწინააღმდეგო ფოლადის ფურცლებით მასზე დაფენებულია 300 ცხ.მ-ის სიმძლავრის დინამოს ძრავა, რომელიც ასეველირებულ გზაზე მაქსიმალური 60 კმ/სი სიჩქარის განვითარების საშუალებას იძლევა. საწვავის მარაგი 500 კმ-ის გასვლელად არის საკმარისი. „გვოზდიკა“ წყალშიც დაცურავს 4,5 კმ/სი სიჩქარით, თუმცა აქვს შეზღუდვა: წყლის დინების სიჩქარე 0,6 კმ/სი-ზე, ხოლო ტალღის სიმაღლე კი 15 სმ-ზე მეტი არ უნდა იყოს, თანაც საბრძოლო მანქანაში მხოლოდ 30 ცალი 122 მმ-იანი ჭურვი უნდა იდოს და არა სრული საბრძოლო კომპლექტი (40 ცალი). 2С1 ГВОЗДИКА-ს გეიპაჟში ოთხი კაცია: მეთაური, მძღოლ-შექანიკოსი, დამმონტაჟებელი და დამტენი. „გვოზდიკს“ არსნაწიში 122 მმ კალიბრის 35 მსხვერფად-ფუგასური და 5 კუმულაციური ჭურვია. კუმულაციურ ჭურვს 2 კმ-ის სიშორიდან მართი კუთხით მოხედრისას 180 მმ-იანი მონოლითური ჯავშნის გარღვევა შეუძლია, ხოლო თუკი მოხედრის კუთხე 30 გრადუსია, მაშინ მხოლოდ 80 მმ-იანს. ფუგასური ჭურვის სროლის მაქსიმალური სიშორე 15,3 კმ-ია.



საბჭოთა არმიამ ამ ტიპის თვითმავალი პაუზიცები შეიარაღებაში მიიღო. შეიხვეულს, ბუნებრივია, გაუნხდებდა სამართლიანი კითხვა: გამართლებულია თუ არა ნახევარი საუკუნის წინ დაპროექტებული „გვოზდიკას“ შექმნა 1965 წლიდან დაიწყო საბრძოლო ტექნიკის ვიდეა? ნაიფი „გვოზდიკები“ 40 წელზე „ახალგაზრდები“ იქნებიან, მაგრამ არანაკლებ 20-25 წლისა, რადგან მათი წარმოება დიდი ხანია შეწყვეტილია. საერთო ჯამში თვითმავალ არტილერიამზე გადასულა უფრო მომგებიანია, რადგან ბუქსირებადი საარტილერიო დანადგარების საცეცხლე პოზიციებიდან სწრაფად მოხსნა ძნელია, რაც აგვისტოს ომშიც დაამტკიცა,

თუმცა თვითმავალი საარტილერიო სისტემების ექსპლუატაცია ბევრად მეტ ხარჯს მოითხოვს. აქამდე ქართული არმიის შეიარაღებაში არსებული ყველა თვითმავალი ლულიანი საარტილერიო სისტემა — 152 მმ-იანი „აკაციები“ და „დანები“, აგრეთვე, 203 მმ-იანი „პიონები“ — ბევრად მეტი საცეცხლე ძალით გამოირჩეოდა და უფრო შორსაც ისროდა, ვიდრე 122 მმ-იანი „გვოზდიკები“. აგვისტოს ომში ქართულმა არმიამ ოცამდე 122 მმ-იანი ბუქსირებადი Д-30 ტიპის პაუზიცა დაკარგა და შეიძლება იმეფ პაუზიცით აღჭურვილი თვითმავალი „გვოზდიკები“ მათ საკომპენსაციოდ იყიდეს.

ორპალი ალაღაშშილი



აგვისტოს ომში ნაალაფარის სახით წაღებული ქართული Д-30 ტიპის პაუზიცები

კავკასიური მოვლენები



ბაქოსთან მდებარე მასზარის ტბაში მიმდინარე სამაშველო ოპერაცია

აზერბაიჯანი

● თვდაცვითი მრეწველობის სამინისტრო უკრაინულ კორპორაცია „ლუისივან“ ტანკსაწინააღმდეგო სარაკეტო კომპლექსების **СКИФ**-ისა და **Барьер**-ის შექმნას აპირებს და მოლაპარაკებაც უკვე დაწყებულია. დაგეგმილია ამ კომპლექსების მოდერნიზებული ვაერსანტკეინკაზე დაყენება.

● 2011 წელს თვდაცვითი მრეწველობის სამინისტრომ 18 მლნ დოლარის სამხედრო პროდუქციის ექსპორტი განახორციელა. ეს მაჩვენებელი 2010 წელს 13 მლნ დოლარს შეადგენდა.

● 2012 წლიდან ნებაყოფლობითი სამხედრო-პატრიოტული და სპორ-

ტულ-ტექნიკური საზოგადოება მეტყვიამფრქვევითა მომზადებას შეუდგება. საზოგადოების თვამჯდომარის, გენერალ-მაიორ ნაურუზალი ორუჯევის თქმით, უკვე მოქმედებს მძოლების, მელუსანტე-პარაშუტისტების, სნაიპერებისა და ინჟინრების მოსამზადებელი კურსები. პირველად 2011 წლის აპრილში სნაიპერთა კურსები ამოქმედდა და მომზადებული სნაიპერების რაოდენობამ 350 კაცი შეადგინა. მომავალში დაგეგმილია მზერეთა მოსამზადებელი კურსის ამოქმედება.

● თვდაცვითი მრეწველობა 2012 წლის მაწურულამდე 60 უბილოტო საფურე აპარატ **Aerostar**-სა და **Orbiter-2M**-ს შემკეებს გადასცემს. კომ-

პანია **Azad Systems**-ი უბილოტებს ისრაელის **IAI**-ს დახმარებით აწვობს.

● წლის ბოლომდე არმა 60 დაჯგუშული ვეტომობილი **Matador**-ითა და **Marauder**-ით შეიქმნება. მოლაპარაკება სამხრეთ აფრიკის კომპანია **Paramount Group**-თან დაწყებულია. სამხრეთაფრიკელი ბოლო ნამუშევარზე — ვაერსანტკეინკილი **Mbombe**-ზე გადაწყვეტილებას მისი დემონსტრირების შემდეგ მიიღებენ.

● 23 დეკემბერს ბაქოს მახლობლად, მასზარის ტბაში ჩაერდა ბაქოს საეიაციო აკადემიის კუთხილი სასწავლო თვითმფრინავი **Cessna-172**. ბორტზე მყოფ პირთაგან არეინი დაშვეებულია.

● აზერბაიჯანმა 2005-10 წლებში სხვადასხვა ქვეყანაში 263 საარტილერიო სისტემა შეიძინა. მათ შორის — 54 თვითმავალი საარტილერიო დანადგარი **2С1 Гвоздика**, 6 თვითმავალი საარტილერიო დანადგარი **2С3 Акция**, 12 თვითმავალი საარტილერიო დანადგარი **2С7 ПИОН**-ი, 85 პაუტეცა **Д-30**, 85 120 მმ-იანი ნაღმსატორცინი **ПМ-38**, 11 ზღაპური ცეცხლის რეაქტიული სისტემა **9А52 Смерч**-ი და ბოსნია-ჰერცეგოვინაში აწვობილი 10 ერთეული 128 მმ-იანი ზღაპური ცეცხლის რეაქტიული სისტემა **RAK-12**.

● 2005-10 წლებში აზერბაიჯანმა უკრაინისგან 27 თვითმფრინავი და 12 შვეულმფრინავი იყიდა.

● მიმდინარე წელს თვდაცვითი მრეწველობის სამინისტრო რეალიზაციას რამდენიმე პროექტს გაუეყვება. მათ შორის იქნება ფეიქქებად მასალების — ბარიტის, ტროტილისა და პეუსოგეისის საწარმოები, რაკეტებისა და სხვადასხვა კალიბრის საარტილერიო ჭურვის კორპუსის დამამზადებელი ქარხნები და სხვ. თვდაცვითი მრეწველობის მინისტრი აიერე ვაპალიოვის თქმით, დამზადებული პროდუქციის ნომენკლატურამ 658 დასახელებას მიაღწია და სამინისტრო ამ მიმართულებით სხვადასხვა ქვეყნის 60-ზე მეტ კომპანიასთან თანამშრომლობს.

სომხეთი

● პრეზიდენტ სერჟ სარგსიანის ბრძანებულებით, სამხედრო პოლიციის უფროსად ზუთი წლით პოლკოვნიკი არმენ სააკიანი დაინიშნა.

სომხეთმა შეიძლება რუსეთს 102-ე ბაზისთვის ფული მოსთხოვოს



პიროსილვა

კონსტიტუციური კავშირები ოკუპირებული აფხაზეთში



ცხინვალის მარიონეტულმა პარლამენტმა საოკუპაციო ჯარების მე-7 ბაზის შეიარაღების რეკონსტრუქციის გეგმვა

● ყოფილი თავდაცვის მინისტრის მოადგილის, გენერალ-ლეიტენანტ არტურ ალაბეკიანის აზრით, სომხეთმა რუსეთისგან 102-ე ბაზისთვის ფული უნდა მოიხილოს. გენერლის აზრით, საჭიროა ბაზის მნიშვნელობასთან ერთად განხილულ იქნეს ის საფრთხეები, რომელიც ბაზამ შეიძლება სომხეთს მოუტანოს. ეს თემა აქტუალური მას შემდეგ გახდა, რაც რუსულ პრესაში გაჟონა ინფორმაცია, რომ ირანზე ისრაელის თავდასხმის შემთხვევაში ვიოპრის ბაზა რუსეთის ინტერესებს შესაბამისად იმოქმედებს და ყოფილი შემთხვევისთვის რუს სამხედროთა ოჯახები გაზიზნეს.

● შეიარაღებული ძალების სასწავლო პროგრამას დაემატა კურსი „აღამიანის უფლებები შეიარაღებულ ძალებში“. კურსი თავდაცვის სამინისტროს, OSCE-ს ერევნის ოფისსა და სამოქალაქო საზოგადოების ძალისხმევით შეიქმნა. „დემოკრატიისა და სამართლის ცენტრის“ ექსპერტებმა OSCE-ს ერევნის ოფისის დაფინანსებით ლექციები უკვე ჩაატარეს შეიარაღებული ძალების ყველა შენაერთში, სამხედრო პოლიციასა და სამხედრო-სასწავლო დაწესებულებაში.

● 2005-10 წლებში სომხეთმა ბოსნია-პერციკოვინაში 200 ერთეული 60 მმ-იანი ნაღმსატყორცი და ბელორუსიაში კი 85 პაუბიკა D-30 იყიდა.

ჩილილ კავკასია

● 2012 წელს ჩეჩენეთში დისლოცირებულ ყველა შენაერთის ჯგუფს და საავტომობილო ტექნიკის მომსახურებით შესაბამისი ქარხნების სერვისცენტრები იქნებიან დაკავებულნი. ეს შეეხება ჯგუფს მანტრანსპორტიორ БТР-82А-ს, რომელსაც მომსახურებას ქალაქ არმავირის 81-ე ჯგუფსანსკო სარემონტო ქარხანა და ქალაქ ნაბერეჟნი-ჩელნის „კამაზ-დიზელი“ გაუწევს.

ცხინვალში საოკუპაციო ჯარების მე-4 ბაზისთვის საბრძოლო დროშის გადაცემა



● საოკუპაციო ჯარების მე-7 სამხედრო ბაზის ასზე მეტმა ახალწვეულმა ჯარისკაცმა სნაიპერის, ყუმბარასატყორცნ РПГ-7-ის მხროლველსა და ავტომატური ყუმბარასატყორცნ АГС-17-ის გათვლების მოსამზადებელი შეკრება გაიარა.

● ალექსანდრ ანჭუბის ბრძანებით, სეპარატისტული რეჟიმის გენერალური შტაბის უფროსის მოადგილე, პოლკოვნიკ ოლეგ არშას მორიგი სამხედრო წოდება — გენერალ-მაიორი მიენიჭა.

● 26 დეკემბერს მარიონეტულმა პარლამენტმა რუსეთთან საოკუპაციო ჯარების მე-7 სამხედრო ბაზის შეთანხმებას რატიფიკაცია გაუკეთა.

ოკუპირებული ცხინვალის რეჟიმი

● 16 დეკემბერს საოკუპაციო ჯარების მე-4 გვარდიულ სამხედრო ბაზას საბრძოლო დროშა და რუსეთის პრეზიდენტის სიგელი გადაეცა. დროშა ბაზის მეთაურს გენერალ-მაიორ ალექსანდრ შუშუკინს სამხრეთის სამხედრო ოლქის 58-ე არმიის მეთაურის მთავლიანის შემსრულებელმა გენერალ-მაიორმა ანდრეი გურულევმა გადასცა.

თემურ ჩანაბიძე

Cy-25-ის ახალი რუსული ვარიანტი



მოღერძეაბული Cy-25УБМ-ი რვეულაბრივ ბოგეავს 10-15 მ-ის სიზუსტით რაბოყრის, — ბვაზინეაბენ რუსი ბენეარლუბი

Cy-25 ტიპის მოიერიშე თვითმფრინავის ბედი ბოლო 30 წელია მჭიდროდაა გადაჯაჭვული საქართველოს რეალობასთან — 70-იანი წლების მიწურულიდან მისი სერიული წარმოება თბილისის საავიაციო ქარხანაში დაიწყო. 1992-93 წლებში წითელავარსკვლავიანი რუსული Cy-25-ები აფხაზეთში ქართულ დასახლებულ პუნქტებს

ბომბავდნენ, ქართული შვიდექიმიანე ბი კი — მონაწილეობდნენ პოზიციებზე. ჩინეთის ორივე ომის დროს რუსული მოიერიშეები შვიდამდე ქართულ ტერიტორიასაც აყენებდნენ სარაკეტო დარტყმებს, ხოლო 2008 წლის აგვისტოს ომის დროს ზუთი დღის განმავლობაში ასზე მეტი საბრძოლო გაფრენით შემოვიტევივ.

აგვისტოს ომის დროს რუსეთის სამხედრო-საჰაერო ძალებმა საქართველოში გამოიყენეს როგორც ჩვეულებრივი Cy-25, ისე მისი მოღერძეაბული ვარიანტი Cy-25СМ.

ოფიციალურად რუსეთი ამ ომში სამი Cy-25-ის დაკარგავს აღიარებს, მაგრამ საზენიტო საშუალებებით კიდევ სამი მოიერიშე დაზიანდა, მაგრამ პილოტებმა მოახერხეს მათი დასმა აეროდრომებზე (ერთ-ერთის — სოხუმში).

აგვისტოს ომის „მონაწილე“ Cy-25СМ ტიპის მოღერძეაბული მოიერიშეს ჰქონდა განახლებული საავიაციო მოწყობილობები, რაც პილოტს ზუსტ ნავიგაციასა და დაბომბვის საშუალებას აძლევდა.

ჩანს, რუსმა გენერლებმა ჩათვალეს, რომ მხოლოდ ერთადგილიანი მოიერიშეების განახლება საკმარისი არ იყო და მოღერძეაბუციის პროგრამა ორადგილიანი, სასწავლო-საბრძოლო Cy-25УБ-ისთვისაც დაიწყო.

ერთადგილიან Cy-25 ტიპის მოიერიშეს საბჭოთა კავშირში და მისი დამუშავების შემდგომაც მხოლოდ თბილისის საავიაციო ქარხანა აწეობდა, ხოლო ორადგილიან სასწავლო-საბრძოლო Cy-25УБ-ს კი — ულან-უდეს საავიაციო ქარხანა.

თუკი თბილისში დღემდე 860-მდე Cy-25 მოიერიშეა აწყობილი, ულან-უდესში, 1986 წლის შემდეგ, მხოლოდ 250-მდე ორადგილიანი Cy-25УБ.

ავიასლონზე გამოფენილი Cy-25УБМ-ის ფოტოგრაფიის ქვეშ რადიოლოკატორი ჰქონდა ჩამოკიდებული (ისევე როგორც Cy-25Т-ს), რაც მნიშვნელოვნად გაზრდის მის საბრძოლო შესაძლებლობებს



ჩვენი ღონი: Cy-25YBM-ის საცდელი ვარიანტი პირველად უღან-უდეს

საავიაციო ქარხანამ 2007 წელს ააწყო და MAKS-ის აფიასლონზე წარადგინა

Cy-25YBM ხერხული ორადგილიანი Cy-25YB-ს მოდერნიზებული ვარიანტი და მასში დანერგულია ის სახელები, რაც მოდერნიზებულ Cy-25CM-ში.

Cy-25YBM-ის გამოყენება შეიძლება როგორც სასწრაფო, ისე სასწრაფო-საეროში და საბრძოლო მიზნითაც.

ორადგილიანი მოიერიშის მაქსიმალური ასაფრენი მასა 18,5 ტ-ს შეადგენს, ნორმალური ასაფრენი კი 15 ტ-ზე ოდნავ მეტს. თვითმფრინავს ასაფრენად 550-600 მ ბეტონირებული ზოლი ჰყოფნის, დასავლეთში კი — 850-900 მ. მიწასთან ახლოს მოიერიშე საათში მაქსიმალურ 940 კმ სიჩქარეს ავითარებს, თუმცა მისი ფრენის საშორე (მიწასთან ახლოს) 520 კმ-მდეა შემცირებული ერთადგილიან Cy-25-თან შედარებით (750 კმ), რაც ეკიპაჟში მეორე წევრის დამატებითა და შესაბამისად საწვავის მარაგის შემცირებითაა გამოწვეული.

მის წინამორბედს — Cy-25YB-ს მაქსიმალური 4360 კგ (ნორმალური 1340 კგ-ა) საერთო მასის ბომბები და რაკეტები მაქონდა. საერაუდოდ, მოდერნიზებული Cy-25YBM-ის შეიარაღებაც ანალოგიური იქნება, ოღონდ შეიარაღების ნომენკლატურაში მართალია ბომბები და რაკეტებიც შევა.

Cy-25YBM, ისევე როგორც ამ ტიპის ყველა მოიერიშე, ადგურებულია ერთი ორლულიანი 30-მმ-იანი საბრძოლველ საავიაციო ქვეშეპითა და 250 ჭურვით.

მათგან დღეს რუსეთის სამხედრო-საპილოტო ძალების შემადგენლობაში მხოლოდ რამდენიმე აიუღლიდა თუ იქნება დარჩენილი, მაგრამ მათი Cy-25YBM-ის დონეზე მოდერნიზაციის შემდეგ, ეს თავდაპირველად სასწრაფო-საბრძოლო თვითმფრინავი სრულფასოვან საბრძოლო მანქანად იქცევა.

საქმე ის არის, რომ ერთადგილიან საბრძოლო თვითმფრინავში მფრინავს უწყვეს ითქროს როგორც პილოტირებაზე, ისე ბომბების ზუსტ ჩამოყრასა თუ რაკეტების მიზანში გაშვებაზე. კრიტიკულ მომენტში, როდესაც ყველაფერს წაშები წვევტს, პილოტი ინსტინქტურად ფრენის უსაფრთხოებაზე უფრო იზრუნებს, ვიდრე შეიარაღების ზუსტ დამიზნებაზე.

ორადგილიან საბრძოლო თვითმფრინავში კი ფუნქციები გაყოფილია: მფრინავი მთლიანად პილოტირებითაა დაკავებული, ეკიპაჟის მეორე წევრი კი ბომბებისა და რაკეტების მიზანში ზუსტ მიხვედრას უზრუნველყოფს.

ორადგილიანი Cy-25YB-ს საფრენისონო მონაცემები, რა თქმა უნდა, უფრო დაბალია ერთადგილიან Cy-25-თან შედარებით, მაგრამ მოდერნიზებული Cy-25YBM-ში ამის კომპენსირება თანამედროვე რადიოელექტრონული აპარატურის დაყენებით ხდება, რაც მნიშვნელოვნად ზრდის ორადგილიანი მოიერიშის საბრძოლო ეფექტურობას.

მოდერნიზებულ Cy-25YBM-ზე დაყენებულია ახალი სამიხნე-სანავიგაციო კომპლექსი Barco-ი, რომელშიც გაერთიანებულია ინფორმაციის დამუშავებისა და ციფრულ ეკრანზე გამოტანის პრინციპი, თანამგზავრული და ახლი ნავიგაციის სისტემა, რადიოელექტრონული სადაზვერუო მოწყობილობა.

რუსი გენერლების მტკიცებით მოდერნიზებულ Cy-25YBM-ზე ახალი სამიხნე-სანავიგაციო კომპლექსის დაყენების შემდეგ ფრენის ნავიგაციის სიზუსტე სამჯერ

გაიზარდა, ხოლო ჩვეულებრივი თვითმფრინავებთან შედარებით საავიაციო ბომბები ისეთივე სიზუსტით ეცემა მიზანს, როგორც კონვენციური (მართალი) ბომბები.

თუკი დაუკავრებთ მოდერნიზაციის ჩამტარებლებს, 200-300 მ სიმაღლეზე პირინზონტურად მფრინავ Cy-25YBM-იდან ჩამოყრილი ჩვეულებრივი ბომბები მიზანს 10-15 მ-ის სიზუსტით ეცემა, ხოლო თანამგზავრული სანავიგაციო სისტემის ჩართვის შემდეგ ეკიპაჟს თვითმფრინავის ადგილსამყოფლის განსაზღვრა დედამიწის ნებისმიერ წერტილში 15 მ-ის სიზუსტით შეუძლია (ამ სისტემის გაერზე ადვილის ზუსტ კოორდინატების ცდომილება შეიძლება 200 მ შეადგინოს).

ეს ციფრები შესაძლოა ზოგს არაფერს ეუბნება, მაგრამ სპეციალისტებმა იცინა, რას ნიშნავს, როდესაც სამიზანიან აცილების საერაუდო წრის დიაპეტრი სულ რაღაც 10-15 მ-ია — მსხვერფივადუგასური ბომბის ნამსხვერვეები არც ერთ ციციხლ არსებას გადარჩენის საშუალებას არ უტოვებს.

მიუხედავად ყველაფრისა, მოდერნიზებული Cy-25YBM, რა თქმა უნდა, ჩამორჩება უფრო თანამედროვე რუსულ საფრინტო ბომბდამშენ Cy-34-ს, მაგრამ მისი მოდერნიზება ბევრად იაფე ვდება, თანაც Cy-25 ოდნე ხანია კარგად აითვისეს პილოტებმა. ამ და სხვა მიზეზების გამო ორადგილიან მოდერნიზებული რუსული Cy-25YBM ტიპის მოიერიშე თვითმფრინავი რეალობა და გასათვალისწინებელი საფრთხეა საქართველოსთვის, რომელიც კვლავ მებრძოლი რუსეთის სამიზნეშია.

ირაკლი ალადაშვილი



საქართველოს სამხედრო-საპილოტო ძალებისთვის თბილისის საავიაციო ქარხანაში დამზადებული პირველი ორადგილიანი Cy-25YB

ორმუზის სრუტის საიდუმლოებანი...



სპარსეთის ყურიდან გაჰყვანილი ერთდართი სრუტის ჩაკეტვა აშშ-ის რაიონის ირანზე თავდასხმის მიზეზი შეიძლება გახლდეს



6 იანვარს, როდესაც „არსენალის“ ეს ნომერი გამოეცა, საერაულოდ, უკვე გარკვეული იქნება, როგორ განვითარდება მოვლენები. როგორც იცით, გასული წლის მსწორულს თეირანი ორმუზის სრუტის ჩაკეტვით დაიმუქრა, თუკი დასავლეთი ირანული ნავთობპროდუქტების გაყიდვას ხანკეცის დაუწყებდა და მუქარის დასადასტურებლად ორმუზის სრუტეში სამხედრო-საზღვაო ძალების სწვლევა დაიწყო.

ჩვენი ღონისძიება: ორმუზის სრუტეს სტრატეგიული მნიშვნელობა აქვს. მისი სიგრძე 195 კმ-ია, სრუტის ფეხლა ვიწრო ადგილის სიგანე კი 54 კმ. სიღრმე 229 მ-მდეა, რაც წვალქვეშა ნავების გამოყენების შესაძლებლობას არ გამოორიგნავს. ორმუზის სრუტე სპარსეთის ყურიდან ერთდართი გასასვლელია. სრუტის ჩრდილო სანაპირო ირანის ტერიტორიაა, სამხრეთი კი არაბეთის გაერთიანებული საამიროებისა და ომანის.

თიერანის განცხადებამ შემოიფოტა გამოიწვია და ნაუთობის ფასმა საერთაშორისო ბირჟებზე ერთ ბარელზე 100 დოლარს გადააჭარბა.

საქმე ის არის, რომ სპარსეთის ყურიდან ერთადერთი გამოსასვლელი სწორედ ორმუხის ვიწრო სრუტეა, რომელიც ომანის ყურეს უერთდება. ნაუთობპროდუქტებით დატვირთული ტანკერები ამ მარშრუტით გადაინდიფიციის ოკეანეში. ითვლება, რომ მსოფლიოში ზღვით გადაზიდული ნავ-

**ამერიკული ავიამზიდი
სრულ საბრძოლო მზადყოფნაშია...**



ჩაშენი ღირსი: ორმუხის სრუტეში სამჯერ უკვე მოხდა შეიარაღებული დაპირისპირება ირანსა და აშშ-ს შორის.

1988 წლის 18 აპრილს, ირან-ერაყის ომის დროს, აშშ-ის სამხედრო-საზღვაო ძალებმა ორმუხის სრუტეში ერთდღიანი სპეცოპერაცია „ოკეანოლი“ ჩატარეს. ოთხი დღე აღერ სრუტეში ირანულ საზღვაო ნაღმზე ამერიკული სამხედრო ზომადლი აფეთქდა და პენტაგონმა საპასუხო ოპერაციის დროს ირანული ფრეგატები და რამდენიმე პატარა გემი ჩაძირა.

1988 წლის 3 ივნისს ორმუხის სრუტის თავზე ამერიკული სამხედრო ზომადლიდან ნასროლმა საზენიტო რაკეტამ ჩამოაგდო ირანული სამგზავრო „კორონისი“, რასაც 290 კაცი შეწირა. აშშ-მა ამ ინციდენტის ახსნა იმით სცადა, რომ სამგზავრო თვითმფრინავი ირანულ ბომბდამშენზე აერია.

2008 წლის 6 იანვარს ირანის 5 საპატრულო კატარა ორმუხის სრუტეში 200 მ-მდე მოუახლოვდა აშშ-ის სამხედრო-საზღვაო ძალების სამ ზომადლს და ორჯერ მხარე მხად იყო ცეცხლის გასასხნელად, მაგრამ საბედნიეროდ ვითარება განიმეუტა.

თობროდუქტების 40% სწორედ ამ მარშრუტით გადის და, ბუნებრივია, მისი ჩაქვტა პრობლემას შექმნიდა. ამიტომაც აშშ-ის მე-5 ოპერატიულმა ფლოტმა, რომელიც სპარსეთის ყურეში, ბაჰრეინში ბაზირებს, მართლაც ოპერატიული რეაგირება მოახდინა. ფლოტის ფლაგმანი, ატომური ავიამზიდი „ჯონ სტენისი“ და კრესიერი „მოილი ბეი“ რამდენიმე დამხმარე ზომადლიან ერთად ორმუხის სრუტისკენ გაემართნენ.

ოფიციალურად გაცხადებული იყო, რომ ამერიკული საჟაიამზიდი ჯგუფი ინდიციის ოკეანისკენ მიემართებოდა, რათა მხარი დაეჭირა ავღანეთში საერთაშორისო ოპერაციისთვის, თუმცა ვეულასთვის ნათელი იყო, რომ თიერამ სახლმა თიერანის ნერეუბის გამოცდა ჩატარა.

30 დეკემბერს დილით, ამერიკულმა სამხედრო არმადამ უარობლემოდ გაიარა ორმუხის სრუტე და ჩაურა ირანულ ზომადლებს, საბედნიეროდ, შვიდობიანად.

როგორც ჩანს, ირანელმა სამხედროებმა ვერ გაგდეს დანაქადის აღსრულება, რადგან მარტო ერთ ამერიკულ ავიამზიდზე განთავსებულ 90-მდე თვითმფრინავსა და შეუვლმფრენს შეეძლო გუნადგურებინა ვეულა ირანული მცურავი საშუალებები.

თიერანი ამჯერად არ დაუპირისპირდა ამერიკელებს, მაგრამ ვითარება უადრესად იძაბება და ერთი ნაპერწყალიც საკმარისი იქნება რეჟიმში ფართომომტაბიანი შეიარაღებული კონფლიქტის დასაწყებად. ისრაელი აღარ დაელოდა სტრატეგიული პარტნიორის — აშშ-ის დასტურს და ისე მიყენებს წერტილოვან საპაერო დარტყმებს ირანის ატომურ და სარაკეტო ობიექტებს. საპასუხოდ თიერანი შეეცდება სარაკეტო დარტყმებით უპასუხოს როგორც ისრაელს, ისე აშშ-ის სამხედრო ბაზებს რეჟიმში, რის შემდეგაც საპაერო ომს შეიძლება საბედნიეროდ დაემატოს.

ირაკლი ალდაშვილი



მართალია ირანელების საზღვაო შესაძლებლობები ამერიკელებთან შედარებით მოკრძალებულია, მაგრამ ამ „ციცქნა“ ირანულ წყალქვეშა ნავს „მხარე გენა“ შეუძლია...



ჩინური „ნოუ-ჰაუ“

გასული წელი ჩინური სამხედრო ავიაციის აღორძინების ხანად იქცა. ჯერ იყო და, იანვარში პაერში მჭკოთე თაობის გამანადგურებელი აფრინდა, ხოლო ზაფხულში კი ინტერნეტით გავრცელდა საგემარო გამანადგურებლის ფოტოები, რომლის პირველი ფრენა 31 აგვისტოს შედგა. სულ ახლახან კი წყალქვეშა ნავსაინააღმდეგო თვითმფრინავის სურათები გამოჩნდა.

თვითმფრინავი ავიამშენებელმა კომპანია Shaanxi Aircraft Industry-მ სამხედრო-სატრანსპორტო Y-8-ის ტიპის თვითმფრინავის ბაზაზე შექმნა და არსებული ინფორმაციით ნიშნულ Y-8Q-ს ატარებს.

ის, რომ თვითმფრინავი მძინარეაღმდეგის წყალქვეშა ნავებით საბრძოლველად შეიქმნა, ამას ფოტოებიც ადასტურებს. თვითმფრინავის უკანა ნაწილის ფორტზე ნათლად ჩანს კაილის ძირიდან უკან გამომავალი საკმაოდ გრძელი ძელი. მსგავსი კონსტრუქციული ნიშანი მხოლოდ ნავსაინააღმდეგო თვითმფრინავებს (მაგალითად, საბჭოური Ил-38 ან ამერიკულ P-3C Orion) აქვს. ძელიში მაგნიტომეტრა – მიწქობილობა, რომელიც წყალქვეშა ნავების აღმოსაჩენად გამოიყენება. ცხვირში, ეკიპაჟის კაბინის ქვეშ საკმაოდ დიდი რადიოაპეჭურაველი გარსემომდგნა და მასში რადიოლოკაციური სადგურია ჩაყენებული.

Y-8Q-ს წყალქვეშა ნავების უბრალო აღმოჩენასთან ერთად მათთან ბრძოლის ძალაც შესწევთ. ფოტოულაქის შუა ნაწილში ქვედა მხარეს თვითმფრინავი თითოეულ ბორტს საგდელე აქვს. საუარაუდოდ, საგდელეების ქვეშ შეიარაღე-

ბა და პირობა, რეაქტიული ტვტვებუბა მოიაზრებული.

ამჟამად არსებული ცნობით, ჩინეთის ასეთი ორი თვითმფრინავი ჰყავს. სატრანსპორტო Y-8 საბჭოური AH-125K-ის ლიცენზირებული ვარიანტია. ჩინეთის ლიცენზიის ყიდვა საბჭოეთთან ურთიერთობის გაფუჭებამდე მოასწრო და ანტონოვის ჩინური ვარიანტი პაერში 1975 წლის 25 დეკემბერს აფრინდა.

მსგავსების მიუხედავად, საბჭოური და ჩინური თვითმფრინავების ერთმანეთისგან გარჩევა მაინც შეიძლება. ამ უკანასკნელის მფრინავის კაბინის წინ არსებულ მჭურმანის ნაკვეთის განსხვავებული დაგრობებული ფორმა და შესწნა აქვს.

რამდენი Y-8 აიწყო, უცნობია, მაგრამ ჩინელებმა მის ბაზაზე თითქმის ორი ათეული მოდიფიკაცია შექმნეს. მათ შორის მფრინავი საკომუნალური პუნქტი Y-8T, რადიოელექტრონული დაბრკოლებათა დამდგმელი თვითმფრინავი და „აუკისი“ რამდენიმე მფრინავი კი, როგორც საკუთარი (KJ-200), ასევე პაკისტანის სამხედრო-საპაერო ძალებისთვის.

საბაზო ვარიანტებისგან განსხვავებით, Y-8Q-ს ახალი ხრახნილი აქვს. ჩანს, ჩინელებმა საბჭოური AM-20M-ის ტიპის ძრავების საკუთარ ვერსიას WJ-6 მოდერნიზაცია ჩაუტარეს და ნაცვლად ოთხისა, ექვსი ნიშბი დაუყენეს.

ხვათა შორის, წყალქვეშა ნავსაინააღმდეგო Y-8Q-ის გამოჩენით 10 წლის წინ მომხდარმა ერთმა ხანტერესო მოვლენამ აქტუალურობა კვლავ შეიძინა.

2001 წლის 1-ელ აპრილს ახალი სკანდალი გახსურდა. ჩინეთის სამხრეთ

ნაწილში მდებარე კუნძულ ჰაინანის მახლობლად ერთმანეთს ჩინური გამანადგურებელი J-8II და ამერიკული მჭერავი EP-3E დაეჯახნენ. გარაუდობენ, რომ ამერიკული თვითმფრინავი ჩინური სამხედრო-სახვავო ფლოტის უახლეს ხომალდებს უთვალთვალენდა. მისთვის გზის გადასაჭურლად ორი J-8II-ის ტიპის ავიამანადგურებელი აფრინდა. დაუპატივებელი სტურის გადაღების მცდელობა კი შეჯახებით დასრულდა და ჩინელი პილოტის სიცოცხლე შეიწირა.

დაზიანებულმა ამერიკულმა მჭერავმა კი უახლოეს აეროდრომამდე ძლივს მაღლწა. ეს უკანასკნელი კი კუნძულ ჰაინანზე მდებარე ჩინეთის არმიის ავიაბაზა იყო.

ჩინელები ამტკიცებდნენ, რომ შეჯახება მათ საპაერო სფეროებში მოხდა, ხოლო ამერიკელები კი ამას კატეგორიულად უარყოფდნენ. ასეა თუ ისე, ამერიკული მჭერავი თვის 24-კაციანი ეკიპაჟით დაატყვევდა.

შეჯახებისას EP-3E-ს მთლიანად მოსპერა ცხვირა გარსემომდგენი, დაუზიანდა ხრახნიბი. დაზიანების სახეობიდან გამომდინარე, შეიძლება ვეფარალოთ, რომ შეჯახება ორევე თვითმფრინავის ურთიერთმანფრინავებისს მოხდა.

ამერიკელები რთულ ვითარებაში აღმოჩნდნენ. საიდუმლო აღჭურვილობითა და ელექტრონიკით გატენილი თვითმფრინავი ჩინელების ხელში აღმოჩნდა. ეკიპაჟი მალევე, 11 აპრილს გაათავისუფლეს. თავად თვითმფრინავი კი ჩინეთში ამ შემთხვევიდან სამი თვის შემდეგ დააბრუნა. ჰაინანზე ჩასვლამ ამერიკულმა საკეივლიტებმა თვითმფრინავი დამალა და გვიანტურე „რუსლანით“ სამშობლოში წაიღეს. რა თქმა უნდა, EP-3E-ს ეტყოზობდა, რომ ჩინელებმა დეტალურად შეისწავლეს.

რომ არა ეს შემთხვევა, ეს მჭერავი თვითმფრინავი საუბამოდ დარჩებოდა „უფროსი ძის“ – წყალქვეშა ნავსაინააღმდეგო „ორიონის“ ჩრდილში. მჭერავ ვარიანტებად EP-3E ARIES და EP-3E ARIES II-ის მხოლოდ 12-12 თვითმფრინავი აიწყო.

საუარაუდოდ, Y-8Q-ის შექმნისას ჩინელებმა 2001 წელს შესწავლილი ტექნოლოგიები გამოიყენეს. თვითმფრინავის შესახებ ინფორმაციას თვითმფრინავად არ ახამაურებენ. მიუხედავად ამისა, ეს ამ ტიპის პირველი ჩინური თვითმფრინავია.

ალექსანდრე ავახამიძე

შეხვედრი ბრძოლა



„მხოლოდ შემხვედრ ბრძოლაში შედეგდება სრულად მეთაურის მაღალი საბრძოლო თვისებები და ჯარების ბრწყინვალე მომზადება“.
გერმანული საველე წესდება (1933 წ.)

სახელგანთქმული ბრძოლები: 1863 წ. გეტისბერგთან (ამერიკის სამოქალაქო ომი), 1870 წ. მარლ-ლა-ტურთან (საფრანგეთ-პრუსიის ომი), 1943 წ. პროხოროვკის (გერმანული ოპერაცია „ციტადელის“ დროს) და ნაწილობრივ 2008 წ. აგვისტოს ომის პერიოდებში წარმოადგენდა სამხედრო ხელოვნების ოპერატიულ და ტაქტიკურ მოქმედებათა სახეს, რომელსაც „შემხვედრი ბრძოლა“ ეწოდება.

ამ უკანასკნელის განხილვისას მკაფიოდ გამოჩნდა ის შეცდომები, რაც ამ ტიპის საბრძოლო მოქმედებებისთვის საქართველოს შეიარაღებული ძალების სამეაურო შემაღ-გენლობის მოუზნადებლობით იგი გამოწვეულია.

შემხვედრი ბრძოლა საბრძოლო მოქმედების დამოუკიდებელ სახედ, შეტევა-სა და დაცვასთან ერთად, განიხილებოდა საბჭოთა არმიის საბრძოლო წესდებებში (მასში გერმანულ საველე წესდებებიდან გადმოღებულმა მოსაზრებებმა დიდი ადგილი დაიკავეს) და თანამედროვე რუსული არმიის საბრძოლო დოკუმენტებშიც ასევე რჩება.

1933 წლამდე თავად გერმანელებიც შემხვედრ ბრძოლას განიხილავდნენ ბრძოლის დამოუკიდებელ სახედ, თუმცა, შემდგომ სამხედრო დოკუმენტებში ის „შეტევის სახესხვაობად“ მოიხსენიება.

ამერიკულ საველე წესდებაში შეტევის განეკუთვნება საბრძოლო მოქმედებების 4 ტიპი: გადაადგილება კონტაქტისთვის, შეტევა, შეტევის განვითარება და დეწა.

შემხვედრი ბრძოლა (meeting engagement) განმარტებულია როგორც „შეტევის ფარგლებში მცირე ქვედანაყოფების შეტაკება“. თუკი ეს ხდება ბრიგადის ან უფრო მსხვილი შენაერთების შეერთებულში, ითვლება, რომ „ეს დახვედრის ვეულა სახის არაფექტურ მოქმედებათა შედეგია. შემხვედრი ბრძოლა შეიძლება ასევე გაიმართოს მასშინ, როცა ძალებმა იციან ერთმანეთის შესახებ, მაგრამ უცნობია მათი ზუსტი ადგილმდებარეობა და ორეე ერთდროულად შეტევის აპირებს“ (FM 3-0).

დასავლეთის სამხედრო ექსპერტები იმ დასკვნამდე მიდიან, რომ თანამედროვე საბ-

1943 წლის ზაფხულში კურსკთან საბჭოთა და გერმანიის არმიების სატანკო არმადები ერთმანეთს შემხვედრ ბრძოლაში დაუპირისპირდნენ

სამხარეთმცოდნეო აკადემიის
ივანე ჯავახიშვილის ინსტიტუტი



2008 წლის აგვისტოში საქართველოში შემოჭრილ რუსეთის არმიის ჯგუშანსატანკო კოლონებს პატარ-პატარა შემხვედრი ბრიოლებების გადატანა მაინც მოუხდათ



როლო სერვე სწრაფად ცვლადია და კომპლექსურ გარემოში შესაძლებელია სულ უფრო ხშირად შეიქმნეს ისეთი გარემოება, როცა ორივე მხარე შეტევითი მოქმედებით გადამწყვეტი წვლადების თუ ინიციატივის (ან ორივეს ერთად) ხელში ჩაგდებას შეეცდებიან.

ამდენად შემხვედრი ბრიოლები გაზმირდება როგორც ოპერატიულ (განსაკუთრებით საომარი მოქმედებების საწყის ეტაპზე), ასევე ტაქტიკურ დონეზეც. აშშ-ის თვდაცვის მდენის ოფისში 2000 წელს შემუშავდა დოკუმენტი: „სტრატეგიული შემხვედრი ოპერაცია: აშშ-ის სამხედრო ძალების ექსპერიმენტი და ტრანსფორმირება“ (The strategic meeting engagement: experimentation and transforming the U.S. military).

ეს დოკუმენტი ეფუძნება აშშ-ის სავარაუდო მორჩინაიდმდეგების მიერ ახალი შეიარაღებული სისტემების განვითარების რეალობას, რომლითაც ის ამერიკული ძალების დისტანციაზე შექრებას და კონკრეტული რეგიონისგან მის იზოლირებას შეეცდებიან.

სტრატეგიული შემხვედრი ოპერაციის კონცეფცია, ფაქტობრივად, არის ომის თეატრში წარმოებული კამპანია, სადაც მონაწილეობს აშშ-ის კონტინენტური ნაწილიდან წინასწარი საბრიო-

ლო გამოსისა და გადაუგუვების გარეშე შეეცადილი ძალები. ამ ტიპის კამპანიის კონცეფცია შეიცავს 5 ფაზას:

- საბრიოლო სერვეზე წინასწარი გაფიზიხილების დომინირებული სისტემის ჩამოყალიბება;
- მორჩინაიდმდეგის შეზღუდვა საინფორმაციო ოპერაციებითა და წერტილოვანი დარტყმებით;
- საპაერო დერეფნისა და დროებითი საპაერო ბაზების შექმნით, კონტაქტისთვის გადაადგილების გარეშე პირუდადი ობიექტების (მხნების) იზოლირება-დაკეცვა;
- მორჩინაიდმდეგის ძირითადი ძალების დამარცხება „კრახანების“ ტაქტიკით ანუ ყველა მამართლებიდან ზუსტი და წერტილოვანი დარტყმებით მორჩინაიდმდეგზე შემდგომ გართი საპაერო საშუალებებით სახმელეთო-სამანერო ელემენტების ნახტომებით ერთი ობიექტიდან მეორისკენ გადასროლა);
- მომდენო მოქმედებები — მიღწეულის განვითარება, ოკუპირება, მშვიდობის იძულება და ძალების ტრანსფერება; სამხედრო თეორეტიკოსები შემხვედრ ბრიოლას შეტყვას მიაკუთვნებენ და ბრიოლის ცალკეულ სახედ გამოყოფენ, სადაც შეტყვაში მყოფი დაპირისპირებული მხარეები ერთმანეთს უპირისპირდებიან.

ის ორივე მხრიდან ვითარდება — სა-

ლაშქრო კოლონები წინასაბრიოლო საბრიოლო წიობაში შეუქრებლად ან მცირედი დაყოვნების შემდეგ გადადინა და შეტევითი მოქმედებით გადამწყვეტი შედეგის მიღწევის საწყის ეტაპზე ცდილობენ.

შემხვედრი ბრიოლის დამახასიათებელია: სწრაფად ცვლადი გარემოებები, საბრიოლო მოქმედებების მქისეული ჩანაცვლება და ინიციატივისთვის ბრიოლა.

შემხვედრი ბრიოლის მოთვარი არის: ძალების დამცევა და შემტყე კომონენტებად გადანაწილება — მორჩინაიდმდეგისთან საკონტაქტოდ შეთავარი ცდილობის, რომ შეტყე უმცირესი დასამყევი დანაყოფით დასწყოს, რის შემდეგაც უნდებდა მოქმედების ზეთი ვარიანტი: შეუტყობს, გადაყოფეს დაცვაზე გვერდი აუქციოს, გამოყოფეს ბრიოლიდან ან უკან დაიხიოს.

ამ დროს აუცილებელია შემდეგი საბაზო პრინციპების დაცვა:

- ძალისმწყვის ფოკუსირება მორჩინაიდმდეგის აღმოჩენაზე;
- კონტაქტი მხარდაჭერის ქვეშ მყოფი უმცირესი მობილური დანაყოფით რათა თუიდან იქნეს აცლილებული მორჩინაიდმდეგის შერეულ რაიონსა და პრიობებში ძირითადი ძალების ბრიოლაში ჩაბმა. ეს კი შეთავარს მოქმედი გადამწყვეტილებების მიღების საშუალებას აძლევს;

● ამოცანის შესაბამისი ძალების ორგანიზება და მოძრაობა დანაყოფების გამორეზნა სწრაფი და ნებისმიერი მიმართულების შეტევისთვის;

● ძალების დანაყოფთა ერთმანეთთან იმ დისტანციით დამორგება, რაც საშუალებას იძლევა ურთიერთმხარდაჭერისთვის (დასჯელი სამხედრო ტერმინოლოგიით ორ დანაყოფს შორის დამორგება, რომელიც საშუალებას იძლევა საჭიროების შემთხვევაში ერთმანეთს დახმარება აღმოუჩინონ, მხარდამჭერი დისტანცია ქრება). ქვედანაყოფებში ეს არის მანძილი ორ დანაყოფს შორის, რომლის დღვარაც საშტატო იარაღის ცველით შეიძლება. დამორგება ორ დანაყოფს შორის, რომელიც ერთ-ერთი მათგანის შეარღვევის სისხევის დაპირდაპირი შედინებით ცველების წარმოების მაქსიმალური მანძილის ეკვივალენტურია — მხარდამჭერ მანძილს წარმოადგენს);

● კონტაქტის დამყარების შემდეგ მისი შენარჩუნება;

განვიხილოთ შემხვედრი ბრძოლა ბრიგადის მაგალითზე, რომელიც საქართველოს არმიის უმსხვილესი შენაერთია.

ბრიგადა შემხვედრი ბრძოლის მოლოდინში გამოყოფს მოწინავე რაზმს, რომლის ამოცანა მისი სელის მიმართულებით მნიშვნელოვანი პუნქტების და ზღუდეების დაკავებაა.

შუამდგენლობის მიხედვით მოწინავე რაზმს ბრიგადის წინ 30-50 კმ-მდე მანძილზე მოქმედება შეუძლია.

ბრიგადა ჩვეულებრივ რამდენიმე მარშრუტით გადაადგილება, მაგრამ საქართველოს რელიეფის პირობებში ეს შეზღუდულია.

ამ შემთხვევაში მეთაურმა მოწინავე რაზმის გარდა, საბრძოლო-სალაშქრო წყობის აუზგარდში ძალების ერთი შესამედი მანძილ უნდა გამოყოფს და ის ერთი-ორი საარტილერიო ბატარეით, ტ/სანი-ნაალმდელო დანაყოფებითა და შესანგრეებით გააძლიეროს.

აუზგარდში აუცილებელია სატანკო ასეული, რომელიც შექმლებისდაგვარად გვერდითი გზით ცალკე კოლონად უნდა გადაადგილდეს და მანევრების სწრაფად ჩატარება და მოულოდნელი დარტყმის შესრულება უნდა შეეძლოს.

მთავარი ძალები აუზგარდს განსაზღვრული დამორებით მიჰყვებიან და ამ დროს ის ფლანგებიდან გვერდითი მხირებითა და დაცვის ძალებით დაცული უნდა იყოს.

ოპერატიულ დონეზე ფართო ფრონტით გადაადგილების მეორედი მოწინააღ-

მდეგეს კონცენტრირებული დარტყმების შესრულების საშუალებას არ აძლევს.

დროულად ამოცნო მთავარი დარტყმის შესაძლო მიმართულება — სამხედრო ხელისუფლებაში შლიფენის შეზღუდულებებიდან დამკვიდრდა.

დადებითი თვისებათა მიუხედავად არაერთი ნაკლი მასაც ახასიათებს. კერძოდ, გერმანელი გენერალი ერფურტი მიუთითებდა, რომ ამგვარი წყობიდან შეტევაში გადასვლისას ის რეზერვების ნაკლებობას განიცდის, ეერ ცვლის მთავარი დარტყმის მიმართულებას, დაქვეითებულია ოპერაიაში მხედრითმთავრის უშუალო მონაწილეობის ხარისხში, განზრდილია ფლანგების მოწყველადობა.

სამხედრო თეორეტიკოს ბენჩის აზრით, მხოლოდ ღრმად უშლონირებული წინასაბრძოლო წყობა იძლევა იმის საშუალებას, რომ მეთაურმა ძალების სწრაფი კონცენტრირება სწორედ იმ მონაკვეთზე შეძლოს, სადაც გამარჯვება იქნება უზრუნველყოფილი.

ის თვლის, რომ ძირითადი ძალები უნდა გადაადგილდნენ მხოლოდ ღამით და ისიც შეზღუდული ხედვის პირობებში. დღისით დაზვერვას მაჰყვებიან მხოლოდ მიზილური დანაყოფები (ტანკები,

მექანიზებული ქვედანაყოფები), რომლებიც ამოწმებენ ფართო ფრონტზე არსებულ ვითარებას, იკავებენ ზღუდეებს და ქმარებიან ძირითად ძალებს ღამით უსაფრთხოდ გადაადგილებაში.

ამენად, მოქმედების მზა რეცეპტი არ არსებობს. ყველა შემთხვევაში მეთაური არსებულ გარემოებებს, მოწინააღმდეგის, საკუთარ ძალებსა და ბუნებრივ პირობებს უნდა ითვალისწინებდეს.

გადაადგილებისთვის ბრიგადას 10-12 კმ სივანის ზოლში შეიძლება ერთ-ორი მარშრუტი გამოეყოს და საბრძოლო წყობა უნდა შეიცავდეს მოწინავე რაზმს, აუზგარდს, დაცვას (გვერდით ზურგის) და მთავარ ძალებს.


დაზვერვას ძირითადად ბრიგადის საშტატო ქვედანაყოფები და მოწინავე რაზმი უზრუნველყოფს. ასევე მის ინტერესებში მოქმედებს ზემდგომი მეთაურის საპაერო დაზვერვა და უბილოტო საფრენი აპარატები.

(დასასრული შემდეგ ნომერში)

მახტანზნ კაპანამქ
ბრიგადის გენერალი,
გურთიანეთული შტაბის
ყოფილი უფროსი

აუზგარდში აუცილებელია სატანკო ასეული, რომელიც შექმლებისდაგვარად გვერდითი გზით ცალკე კოლონად უნდა გადაადგილდეს და მანევრების სწრაფად ჩატარება და მოულოდნელი დარტყმის შესრულება უნდა შეეძლოს





რუსეთ-სამართლებელი: ჯაუშოვანიის მორიგი წრე იწყება?

(დასასრული. დასაწყისი იხ. „არსენალი“ N26, 2011)

რამაზან თურქოშვილი

ევ-ეს-ბეს 2008 წლის მაისის შუა რიცხვებში განაცხადა, — თბილისი რუსეთის მოქალაქის, საქართველოს სპეცსამსახურების აგენტის, 35 წლის ქისტო რამაზან თურქოშვილის ხელით რუსეთის სამხრეთ ნაწილში სიტუაციის აფეთქებას გვემსო.

ამ კაცს იმდენი ბრალდება წაუყენეს, ბარემ ათ ჯაშუსს ყოფილია: რუსეთის ძალადან სტრუქტურებში აგენტობის გადაბირების მცდელობა, გაურკვეველ „ტერორისტების“ კავშირი, პანკისიდან მთელ წრდილოეთ კავკასიაში ტერორისტთა მოქმედების კოორდინაცია და ა.შ.

თურქოშვილს საქართველოს დაზვერვის თანამშრომლებთან კავშირის შუშდევ-გი ფორმები ჰქონია: პირადი შეხვედრები, ასევე ტელეფონითა და ინტერნეტის მეშვეობით.

თუ ევ-ეს-ბეს დავუჯერებთ, თურქოშვილის მთავარი დავალება რუსეთის ტერორიზმიდან ხალხის მოტაცება და საქართველოში გადმოყვანა ყოფილა. მისი ანაზღაურების ნიხრი ასე გამოიყურება: „უბრალო“ პირის მოტაცება 5 ათასი დოლარი, რუსეთის შსს-ის თანამშრომლის მოტაცება — 30 ათასი დოლარი, ხოლო ევ-ეს-ბეს თანამშრომ-

ლის „მოპარვა“ უკვე 50 ათასი დოლარი ყოფილა.

თურქოშვილმა სხვა აგენტების ვინაობაც დაასახელა და ვფელაფერი აღიარა, — გაზარებული აცხადებდა მაშინ რუსეთის ევ-ეს-ბეს.

რამიდანტი თუ გამიღვლი მკვებრაპი?

რუსეთის ხელისუფლების გათვლით, იმის დასამტკიცებლად, რომ საქართველო „აგვისტოს ომისთვის“ ვითომდა დიდი ხნით ადრე ემზადებოდა, აუცილებელი იყო რუსეთის ტერიტორიაზე მოქმედება, საქართველოს აგენტურული ქსელის აღმოჩენა.

აგრობედა სამხედრო-პოლიტიკური ინფორმაციის, ამზადებდა ტერაქტებს და ა.შ. — ევ-ეს-ბეს ფანტაზიას რა დამტრეტს. მათ კი სათავეში აუცილებლად საქართველოდან წარგზავნილი რეზიდენტი ყოილებოდათ და ასეთად ზაზა ზერკლაძე დასახელდა.

რუსეთის საიტებზე განათავსეს მისი „აღიარებითი“ ჩვენების ვიდეონაწერი. ზერკლაძეს სახეზე ნათლად ეტყვიოდა ცემის კვალი. ფირი რომ დამონტაჟებულ იყო, ესეც კარგად ჩანდა, — ზერკლაძე ნაწვევტ-ნაწვევტ პასუხობს ევ-ეს-ბეს გამომძიებელთა შეკითხვებს. ფირი ამკარად დატვილ-გადაწებებული იყო.

ევ-ეს-ბეს მტკიცებით, უფროსმა ლეიტენანტმა ზერკლაძემ არაღვკა-ლურად შეიძინა რუსეთის მოქალაქის

პასპორტი და საქართველოს დაზვერვის სამსახურის მიერ გადაცემული 6 ათასი დოლარით ვლადიკავკაზში, გორკისა და რეფლუციის ქუჩების გადაკვეთაზე, კა-ევ „ლელი ფოქა“ დაიქირავა.

კაევ კონსპირაციული შეხვედრებისა და აგენტების გადაბირების ადგილი გახდა. ზერკლაძის ამოცანა იყო რუსეთის ამ რეგიონის მაღალჩინოსანი სამხედრო და სამოქალაქო პირების გაცნობა და მათი გადაბირება. ასევე ტინჯავლილი სუპარატისტების „არეზიდენტ“ კოკოთის გარემოცვისა და სამხედრო-პოლიტიკური ინფორმაციის მოპოვება.

2011 წლის 20 ივლისს რუსეთის ფედერაციის უმაღლესი სასამართლოს სამხედრო კოლეგია ჩვენი ქვეყნისთვის ერთი ძაღზე მნიშვნელოვანი საკითხი განიხილა. კრიბოდ, დღის წესრიგში იყო საქართველოს მოქალაქის, რუსეთის სასამართლოს მიერ ვაშპოშობის ბრალდებით მსჯავრდებულ ზაზა ზერკლაძის, აგრეთვე, სახელმწიფოს დღაღატის მუხლით გასამართლებულების, რუსეთის ფედერაციის ორი მოქალაქის, ყოფილი სამხედრო მოსამსახურეების, პოპოლოკონიკ ზეიან იმერლემვილისა და პოპოლოკონიკ მარლენ ბოგდანოვის (ბალაშვილის) ადვოკატების კასაცია.

რუსეთის უმაღლესმა სასამართლო ინსტანციამ ჩრდილო კავკასიის საოლქო-სამხედრო სასამართლოს მიერ 2010 წლის 25 მარტს გამოტანილი განაჩენი

რუსეთ-საქართველოს შორის
როდელი ურთიერთობების პირობებში
ჯამშუმონიანის მოკლე დროში
დასრულებას არ უნდა ველოდო



ძალაში დატოვა. მკითხველს შეეახსენებო, რომ ზემოაღნიშნულ სამ პირს საქართველოს სასარგებლოდ ჯამშუმობა დაპირდალდათ და იმერლიშვილი — 13, ბოგდანოვი — 15, ხოლო ზრეკელიძეს — 11 წლით თავისუფლების აღკვეთა მკაცრი რეჟიმის კოლონიაში მოხდით აქეთ მისჯილი.

საინტერესოა, რომ აგვისტოს ომიდან თითქმის ორი წლის შემდეგ, 2010 წლის მარტში, განაჩენის გამოტანის დროს, ევგუს-ბეს იმერლიშვილის სამსახურებრივი მდგომარეობა და სტატუსი მნიშვნელოვნად შეცვალა და „საქართველოს ჯამშუმში“ უკვე როგორც რუსეთის არმიის ერთ-ერთი სამხედრო შენაერთის უფროსის თანაშემწედ დაასახელა. ამით რუსეთის სპეცსამსახურებს სურთ აჩვენონ, რომ იმერლიშვილს მართლაც სახელმწიფო საიდუმლოებაზე მიუწვდებოდა ხელი.

მკითხველს შეეახსენებთ, რომ ამჟამად სასამართლომ 2009 წლის 14 სექტემბერს „საქართველოს აგენტ“ ალექსანდრე ხაჩიროვი 7 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსჯა.

ევგუს-ბეს განცხადებით, მკორე „აგენტი“, აღნაწარშილი, გამოძიებასთან „ხარისხიანად თანამშრომლობდა“, ყველაფერი აღიარა, რაც კი იცოდაო და ამის გამო ეჭვიმტანაილის სტატუსი მორჩიმის სტატუსით შეუცვალა.

არაკომპეტენტურობა გამოივლინა რუსეთის კონტრდაზვერვა კიდევ ერთი

ქართველი „აგენტის“ მხილებისას. მიხედო ხაჩიძის დაკავების შესახებ თავდაპირველად გავრცელებული ინფორმაციით ის სადესანტო პოლკის ავტობარკის პრობორშიკად მსახურობდა. შემდეგ კი ის 58-ე არმიის ერთ-ერთი სამხედრო დანაყოფის მეთაურის მოადგილე და ჩინოთ მოდილოკონიკი „გახდა“.

ევგუს-ბეს დირექტორმა ალექსანდრ ბორტნიკოვმა ისიცი კი განაცხადა, ხაჩიძე „ქართველი აგენტების“ მთელი გვჯუფის ხელმძღვანელი იყო და ჩრდილო კავკასიაში ტერაქტებს გვამავდა.

საკითხავია, რა სახის დოკუმენტებზე მიუწვდებოდა ხელი გეორგიევსკში დისლოცირებული სამხედრო ნაწილის მეთაურის მოადგილეს, თუნდაც ჩინოთ მოდილოკონიკი ხაჩიძეს?

უნდა განვაცხადოთ, რომ აბსოლუტურად წარმოუდგენელია ჩრდილო კავკასიის სამხედრო ოლქის სულთადა სადღესლო დოკუმენტაცია ხაჩიძეს რუსეთის არმიის მაღალჩინონების გარეშე მოეპოვებინა. თუ ასეა, მაშინ სასამართლომ რატომ არ დაადგინა მათი ვინაობა? დღეს ხაჩიძის წინააღმდეგ მტკიცებულება მხოლოდ მისი „ადიარებით“ ჩვენება და ევგუს-ბეს მკორე „ნაპოვნი“ ფლეშება.

კარგად ჩანს, რომ რუსეთის სპეცსამსახურებს ხაჩიძის აგენტობის დამამტკიცებელი სამხილი რომ მკონდეთ, კოლონიაში ეჭვის წლის გატარებას და სამხედრო წოდების ჩამორთმევას კი არ

აკმარებდნენ, 10-15-წლიან პატიმრობას „გამოუწერდნენ“.

დაუჯერებელია ევგუს-ბეს მაღალჩინონანთა მტკიცება, თითქოს ხაჩიძეს მინიმალური განაჩენი იმტომ გამოუტანეს, რომ ის სამი შვილის მამაა და გამოძიებასთან თანამშრომლობდა. უბრალოდ „ფისიქოლოგიურ ომში“ გამარჯვების მისაღწევად რუსეთის ხელისუფლება მტკიცებულებებს არფრად ავდებს.

საფიქრებელია, რომ ხაჩიძე, ერთ-ერთი სამხედრო ნაწილის მეთაურის მოადგილე, რუსეთის სამხედრო კონტრდაზვერვაში სამკურნეო დარღვევაზე „წაიჭირა“ (რაც რუსეთის არმიამ ჩვეულებრივ მოელნად იქცა) და აგვისტოს ომის დროს დენაწორმაციული შეტყვისთვის გამოიყენა. შემდეგ კი მიხდა გარიგება და ამ პიარაქციაში მონაწილეობისთვის ხაჩიძე მინიმალური სასჯელი, თანაც კოლონიაში და არა საპრობილუმში მიიღო.

რუსეთ-საქართველოს შორის „ჯამშუმთა ომის“ ეს ეპიზოდი რომ შეეაჯამოთ, რა გაირკვევა? რუსეთის ხელისუფლების მტკიცებით, ქართველებს აგვისტოს ომამდე კარგა ხნით აღერ რუსეთის სამხედრო აგენტების მთელი „არმია“ — ცხრა-ათი პირის შუბდაგენებით ჰყოლიათ აქედან ერთი რეზიდენტი, რომლის ფუნქციებასაც ზაზა ზრეკელიძეს აბრალებენ, არაღკველუ-



საქართველოში რუსულ ვაშუშურ ქსელზე შეტევა გენერალური შტაბის მთავარი სადაზვერუო სამმართველოს თანაშრომლების დაკავებით დაიწყო

რამდენად სანდო იყო ცალბე პასპორტი და მისი გამოყენება? საერთოდ ორ ქვეყნას შორის დაძაბულობის და რუსეთში ანტიქართული ისტერიის ფონზე, ჩვენი აზრით, დიდი შეცდომაა დღევანდელი ამგვარი ფორმა, რადგან რუსული პასპორტის „გამყიდველის“ სანდობა უკვე საუკუნოა.

არც ისა გამოიჩინა, რომ ხერკულაძე ვლადიკავკასში სახელის პირველადი დღიდან რუსეთის კონტრდაზვერვის მკაცრ მეთაველურებაში მოექცა. რამდენად შეუხაბებელია შვედრავების ფსიქოლოგიური მომზადება რუსეთის კონტრდაზვერვის მეთაველს? ქართული შვედრავები უკვე აქედან, თბილისიდან ხომ არ იყენებ „გამყიდველს“? ხომ არ იყო ამ ვაჭურებაში თვითდავე „ორმაგი აგენტის“?

ბენისა ალადაშვილი

ექსპერტი ეროვნული

უსაფრთხოების საკითხებში,

უმშრომების გადაძავეარი პოლკოვნიკი

(დასასრული შემდეგ ნომერში)



რად არის შეგზავნილი, ხოლო დანარჩენი რუსეთის მოქალაქე ქართული დასაბორის წარმომადგენლები ისტორიული სამშობლოს სამსახურში დამდგარან და მეზობელი სახელმწიფოს მოსაზღვერ ტერიტორიების შესახებ სამხედრო-პოლიტიკური და ეკონომიკური ინფორმაციის შვერთეება მოუნდომებთა!

რეალურად კი ეს პირები იენის-იელისში უკვე დაკვეებული და ნაცემ-ნავეუი ჰყუდათ (რაც კარგად ჩანდა მათ სახეზე „ადარებით“ ეიდეიფირზე).

საინფორმაციო ომში ყველა ტყუილი გამოსაღვეთი და რუსეთის ეფეს-ბემაც „საქართველოს ავერტურა“ II ავეისტოს გაიხსენა და სიტუაციის დასაძმითელად საქმე ისე წარმოაჩინა, ითითქოს ავეისტოს ომში გამოეღვინოს და დაეკვეების ეს პირები.

მათი ბრალუელობის დამტკიცება არადაძვერებელი იყო და მხოლოდ ფიზიკური და ფსიქოლოგიური ზეწოლის შედეგად მიღებულ თვითდარებას ვერდნობოდა. თუ რუსეთის მიერ „საქართველოს შვედრავების“ გამოეღვინოს

ვაქტები სიმართლეს შეუხაბებია, რამდენიმე კითხვა უნდა დაისვას:

როგორ მოხდა მათი გამოევერა ასე ერთბაშად და ერთ თვეში (2008 წლის იენის-იელისში) მათი დაკვეება? საიდან გაეონა ინფორმაციამ?

როცა შვედრავს არალეალურად, სათანადო დოკუმენტების გარეშე გზავნი მოწინააღმდეგის ტერიტორიაზე და იძულებულს ხდი, იქ შეიძინოს ცალბე საბუთები, ამ დროს ჩავარდნის შანსი იზრდება. ეს ან დაზვერვის ანბანის უცოდინარობაა, ან დღალტია.

„ლეიბა“

სამკურნალო ბავერთიანება

სამსოათოლოგია

- ერექციის ხარისხის გაუმჯოღოვეება
- სექსობრივი აქტის გახანგრძლივეება
- ყველა სახის სექსუალური დარღვევის მკურნალობა
- სექსუალური წარუმატებლობის მიდღდინის შიშის მოხსნა

ხელმძღვენელი პროფვესორი არჩილ ბაკრაძე

მის: თბუკაშვილის №19ა ☎ 890 32-21-21; 32-21-21, 72-59-39

www.league.ge



ტაივანი: გომინდანური ჩინეთის ერთადერთი ფოკოსტი

ყრნალის დღევანდელი ნომრიდან ვინცები ახალ რუბრიკას „კრიზისები, კონფლიქტები, ომები“, სადაც განვიხილავთ მსოფლიოს სხვადასხვა რეგიონში ჯერ კიდევ შემორჩენილ პოლიტიკურ, რელიგიურ თუ სხვა სახის კონფლიქტებს.

რუბრიკის პირველი სტატია ჩინეთის შეამბოზე პრეზიდენია ტაივანზე მოუთხრობთ ვფიქრობთ ქართველი მკითხველისთვის საინტერესო იქნება ამ კუნძულ-

ზე არსებული „ჩინეთის რესპუბლიკის“ მიუხეობასა და კონტინენტური ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის შორის დაპირისპირების (რომელიც უკვე 60 წელზე მეტია, გრძელდება) დეტალები და ის, თუ რა შიშებს იღებს როგორც ერთი, ისე მეორე მხარე კონფლიქტის დასრულებულიყოფად. ტაივანზე არსებული რეჟიმი

ბოლოს დაიწყო, როცა ბეკინში ძალაუფლება მათ ძედუნის მომხრე წითელმა პარტიზანებმა იგდეს ჯელ და ჩინეთი სახალხო რესპუბლიკად გამოაცხადეს. ჩინეთის რესპუბლიკაში კომუნისტებსა და მმართველ პარტიას — გომინდანს („სახალხო კეთილდღეობის პარტია“) შორის სამოქალაქო ომი, არც მეტი, არც ნაკლები, 20 წელი მიმდინარეობდა, მაგრამ ტაივანს კომუნისტურ-გომინდანური დაპირისპირება მანამდე არ შეუტია.

სამოქალაქო დაპირისპირების პარალელურად, წითელეცა და გომინდანელებიც ცალ-ცალკე იაპონიელ აგრესორებსაც ებრძოდნენ. 1894 წლიდან, როცა ჩინეთი იაპონიასთან პირველი ომში დამარცხდა, ტაივანს ამომავალი შშის ქვეყნა აკონტროლებდა.

წითელი პარტიზანების ლიდერი, ჭკუა-გონებით საყვლელაოდ ცნობილი მათ ძედუნი კონტინენტურ ჩინეთში განუზომელი პოპულარობით სარგებლობდა, მაგრამ ჩინეთის რესპუბლიკის პრეზიდენტ ჩან კაი შის ავტორიტეტი ტაივანზე უფრო მეტად საგრანობი იყო, ორნდაც იმიტომ, რომ ჩან კაი ში კათოლიკე იყო, ტაივანის მოსახლეობა უმეტესობა კი — ამჟვე კონფუციის აღმსარებელი.

ტაივანი
აივის
რუკაზე



ამჟამად ე.წ. „ნაწილობრივ ცნობილ სახელმწიფოთა“ კატეგორიაში შედის.

დაპირისპირების დასაწყისი: კომუნისტები და გომინდანელები

ტაივანსა და კონტინენტურ ჩინეთს შორის დაპირისპირება XX საუკუნის 40-იანი წლების



ჩან კაი ში

აქედან გამომდინარე, უკვე 1945 წელს, როდესაც მეორე მსოფლიო ომში ჩინელი კომუნისტების უპირველესმა მხარდამჭერმა — სტალინურმა საბჭოთა კავშირმა გამარჯვებას მიაღწია, გამომდინარეობდა ტაივანი საუკეთესო თვსესავრად დასახეს: ჩან კაი შიმ, რომ შუატყო, კონტინენტურ ჩინეთში ხელისუფლებას კარგუდა, ე.წ. „მოჯან-ვე კუნძულის“ მეთიდე გამოიყენა და, მრავალრიცხოვან მიმხრეებთან ერთად, 1949 წელს, როდესაც მათ ძელუნის პარტიზანები პეკინში ზეითი შუადინენ, ტაივანზე გადავიდა.

იმეუ წელს, მას შერე, რაც მათ ძედუნმა კონტინენტურ ჩინეთში სახალხო რესპუბლიკა გამოაცხადა, კუნძულ ტაივანზე დაეუბნებულმა გომინდანელებმა მსოფლიოს გასაცხადებინადეს, რომ ჩინეთის რესპუბლიკა არსებობას სწორედ ტაივანზე განაგრძობდა: „ჩინეთის რესპუბლიკის გომინდანური მთავრობა ჩინეთშივე რჩება — ის ჩვენი ქვეყნის იმ რეგიონში გადავიდა, რომელიც წითელი პარტიზანების მერე ოკუპირებული არაა. ამდენად, პეკინში სახალხო რესპუბლიკის გამოცხადებაც უკანონო!“ — ჩან კაი შის ამ განცხადებამ მართლაც მთელი მსოფლიოს მაშინდელი მასშეიდა მოიარა და სხვათა შორის, ჩინეთის რესპუბლიკის მთავრობის ტაივანზე გადასვლა უპირველესად, ამერიკამ და გაერომ ცნეს. შესაბამისად, გაეროში ჩინეთის წარმომადგენლის ადგილი ტაივანიდან წარეზენილმა დეუტატმა დაიკაუ.

ამგვარად, „ტაივანის პრეცედენტი“ გამო, ერთი შუეღვითა მეტად კომიკური და უჩეუული ვითარება წარმოიქმნა, — პეკინში მიაჩნდათ, რომ რადგან ჩინეთის



მაო ძედუნი

მეტი ნაწილი ახალი ხელისუფლების ხელი იყო, ტაივანზე თვეუფარებული გომინდანე უკანონო და არალეგიტიმური იყო, ხოლო ტაივანზე მიიჩნევენ, რომ უკანონო და არალეგიტიმური კომუნისტური ხელისუფლება იყო, რადგან ძალაუფლება ძალით ჩაივლო.

ამას ემატებოდა ერთი მეტად მნიშვნელოვანი ფაქტორიც, — კუნძული ტაივანი 1894 წლიდან იაპონიის საკუთრება იყო, ხოლო 1945 წელს კი, როდესაც ამომავალი შხის ქვეყნა მეორე მსოფლიო ომში დამარცხდა, გამარჯვებული მხარეების ზეწოლით ტოკიო იძულებული გახდა, ტაივანს ისევ პეკინისთვის დაებრუნებინა და ამით ჩინეთთან ომში (1937-1945 წწ.) დამარცხებაც ეწო.

შესაბამისად, დამარცხების აქტს ჩინეთის მხრიდან ხელი არა კომუნის-



დენ სიაო პინი

ტებს (რომლებიც მამინ ქვეყნის უდიდეს ნაწილს აკონტროლებდნენ) წარმომადგენელმა, არამედ გომინდანელმა დიპლომატმა მოაწერა. ეს კი იმის წინა პირობა გახდა, რომ კუნძული ტაივანი ჩინეთის რესპუბლიკის კანონიერ ტერიტორიად ჩაეთვალით და გომინდანელებს ჰქონოდათ საბაბი, რომ იქ არ დაეშვათ კომუნისტები, — იაპონურ არმიას კუნძულზე პირდაპირ ჩინური (გომინდანური) არმია ჩაენაცვლა, რამაც შეედგომში ჩან კაი შის მთავრობის მისაღებად კარგი პლაცდარმო შექმნა.

რასაკვირველია, მათ ძედუნი არასოდეს შერიგებია კუნძულ ტაივანის დე ფაქტო დაკარგავს, თუცა, ჩინელთა ბუღალდ ვყო გამჭრაზობა და ტაივანზე თვეუფარებულ გომინდანელთა წინააღმდეგ სამხედრო ძალის გამოყენებას მოერიდა.

talizi
თქის გაღანარავის სანგრი

გაშახენის 27, ბაღ: 2141515
www.talizi.ge

მათი სტუდია გომინდანელთა საწინააღმდეგო მიტინგზე. 1945 წელი



მათი ძელუნს უკვე მაშინ ჰყავდა უზარმაზარი არმია და სტალინის წყალობით შეიარაღებუც არ აკლდა, მაგრამ რამდენიმე შეტაკებისა თუ ინციდენტების გარდა საქმე ფართომასშტაბიან საბრძოლო მოქმედებამდე არასოდეს მისულა.

თავის მხრივ, ჭკუა-გონება ჩან კაი შისაც ჰყოფნიდა და ჩინეთისგან ტაივანის გამოყოფის თაობაზე განცხადება არასოდეს გაუკეთებია.

1949-1971 წლებში, როგორც აღინიშნა, გაეროში ჩინეთის ადგილი ტაივანიდან გაგზავნილ დიპლომატს ეჭირა. ის კვლავინდებურად მთელ ჩინეთს წარმოადგენდა და არა მარტო კუნძულს. ამის გამო ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა იზოლიაციაში იყო მოქცეული. რბილად რომ ვთქვათ, ეს უზერხეულობას უქმნიდა მათ ძელუნს, რომელსაც საერთაშორისო აღიარება პარტიით სჭირდებოდა. თუმცა, აღაპირად, ამის მიუხედავად, სანამ სტალინი ცოცხალი იყო, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკას მაინც შეეძლო, თავისი სიტყვა ვთქვა აზიანა.

სტალინის სიკვდილიდან და მის შემდეგ, „პარიზების კულტის დაგმობის“ პერიოდში, საბჭოთა კავშირ-ჩინეთის ურთიერთობა გაუარესდა და მათ ძელუნს მიხედა, რომ დასავლეთთან საერთო ენის გაძიანება უკვე აუცილებელი იყო.

ჩინეთის სახალხო რესპუბლიკასა და ამერიკის შეერთებულ შტატებს შორის მოლაპარაკება XX საუკუნის 50-იანი წლების მიწურულიდან დაიწყო, რასაც თან მოჰყვა ჩინეთის მუქარა — მათ ძელუნის ფლოტო კუნძულის სანაპიროების მთავრად და შტეტკისთვის მოეჭადა. საბრძოლო მზადყოფნა გამოცხადდა ტაივანის არმიამაც, რომე-

ლიც უწინდებურად „ჩინეთის რესპუბლიკის არმიის“ სახელს ატარებდა.

ტაივანის საკითხი საერთაშორისო ასპარაზზე

ორივე მხარის ლიდერთა თვითკაცებით კონტინენტური ჩინეთისა და ჰემბოზე კუნძულის შეიარაღებულ ძალებს შორის დაპირისპირების თაველან აცილება მოხერხდა, მაგრამ მდგომარეობა მაინც უკიდურესად გამწვავებული იყო.

50-იანი წლების შუახანებიდან ტაივანის რეჟიმს დიდ დახმარებას უწყდა აშშ. ამერიკის ეროვნულ ბიბლიოთეკაში დაცულ და 1958 წლის 13 აგვისტოთა დათარიღებულ ერთ-ერთ ზუსტი დოკუმენტში ნათქვამია, რომ პენტაგონმა ამ წელს საგანგებოდ დაამუშავა ჩინეთის ატომური შეტყვის გეგმა, რომლის შესრულებაც, არც მეტი, არც ნაკლები, ორჯერ სცადეს.

რატა თქმა უნდა, მათ ძელუნმა კარგად იცოდა, რომ ტაივანის პრობლემის მოგვარება ამერიკისთან საერთო ენის გაძიანების გარეშე შეუძლებელი იყო. ამიტომაც XX საუკუნის 60-იანი წლებიდან ჩინეთის ლიდერი ცდილობდა, როგორმე გაიმხეტონის გული მოვრო.

ამასთან, პეკინში აჭრებდათ რომ ტაივანის ის ხალხი მართავდა, ვინც 1949 წელს კონტინენტიდან გაიქცა. მართლაც, პრეზიდენტ ჩან კაი შის გარდა, ტაივანზე ჩინეთის რესპუბლიკის პარლამენტის ყველა წევრი იმყოფებოდა და იმის იმედით, რომ კონტინენტურ ჩინეთში გომინდანელთა ხელისუფლება მალე აღდგებოდა, კუნძულზე ახალი საყოფილო საპარლამენტო არჩევნები არ ტარდებოდა.

მათ ძელუნმა, ამერიკისთან მოლაპარაკებისას სწორედაც ამ უკანასკნელ

ფაქტორზე გაამახვილა ყურადღება. მან თითო სახლს თვალნათლივ დაანახა, რომ არჩევნების ჩაუტარებლობით ჩან კაი შის რეჟიმში ლეგიტიმურობას კარგავდა: „1949 წელს ტაივანზე გადავიდა ჩინეთის ის ხელისუფლება, რომელიც 1945 წლიდან, ე. ი. ტაივანის ჩინეთთან მიერთებამდე იყო არჩეული. ჩინეთის რესპუბლიკის მთავრობასა და პარლამენტში ტაივანის მოსახლეობის უმნიშვნელო პროცენტია წარმოდგენილი, უმეტესობას კი იქ კონტინენტური ჩინეთის მკვიდრი შეადგენენ. ეს ხელისუფლება პეკინში ვეღარ დაბრუნდება. ამიტომ ამერიკის შეერთებული შტატებისთვის უკეთესი იქნება, თუკი ის ცნობს ჩინეთის სახალხო რესპუბლიკას და დიპლომატიურ ურთიერთობას დაამყარებს ამასთან“, — შესთავაზა მათ ძელუნმა აშშ-ის ხელისუფლებას.

1971 წელს ამერიკის პრეზიდენტმა რიჩარდ ნიქსონმა მათ ძელუნს მოწოდება წყარად იღო და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა ცნო. ამასთან, გაეროშიც ტაივანის ჩამორიყვა ჩინეთის კუთხილი დღეცა. ეს იყო მათი სტრატეგიის პირველი დიდი წარმატება საერთაშორისო ასპარაზზე.

ამერიკის მაგალითის მსოფლიოს სხვა ქვეყნებამც მიჰბაძეს და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა ცნეს. ამ ცნობას, როგორც წესი, ჩან კაი შის რეჟიმთან დიპლომატიური ურთიერთობის დეოურე გაყვევება მოჰყვა. თუმცა, აქ უნდა ითქვას ისიც, რომ ტაივანთან ურთიერთობას ე. წ. „კაპიტალიზმური“ საქმარი შემოღობვა გზებით აკრძებულა, — მაგალითად, ამერიკაში 1971 წელს შეიქმნა ე. წ. „ტაივანური კულტურის შემსავლელი სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი“ დაარსდა და მისი მუშეუ-



ტაივანის არმიის წყალქვეშა სპეცრაზმი

ობით ნახევრად ლეგალური სახით გაგრძელდა ურთიერთობა კუნძულთან.

XX საუკუნის 70-იანი წლებიდან ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა სხვა ქვეყნების ტაივანთან ურთიერთობის გამო პროტესტს მხოლოდ ფორმალურადღა გამოხატავდა, თუმცა კუნძულის ეკონომიკურ განვითარებას ხელს არც კი უშლიდა. სამაგიეროდ, გომინდანელები ტაივანის დამოუკიდებლობას არ აცხადებდნენ და არც არჩევნებს ატარებდნენ.

**პროვლამის მოგზაობების
გზა: „ერთი სახელმწიფო
— ორი სისტემა“**

კონტინენტური ჩინეთისა და მკაპბო-უ ტაივანის დაპირისპირების საბოლოო გადაწყვეტა პეკინშიც და ტაიბეიშიც (ტაივანის დედაქალაქი) უპირველესი პრიორიტეტი იყო და არის დღესაც. სამხედრო ძალების გამოყენებასთან (და არა დემონსტრირებისაგან) ორივე მხარე იმთავითვე თავს იკავებდა; ამიტომ უფრო მისახერხებელი იყო მილაპარაკება.

1981 წელს ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის უმაღლესმა საკანონმდებლო ორგანომ — სახალხო წარმომადგენელთა საერთო-ჩინურმა კრებამ ტაივანის თითაბზე სპეციალური დელეგაციება გამოიტანა, რომელსაც საკმაოდ მკაცური სახელწოდება ჰქონდა: „ერთი სახელმწიფო — ორი სისტემა“. დადგენილებაში ჩამოთვლილი იყო ორივე მხარისთვის მნიშვნელოვანი ის ორიენტაციები, რაზეც

უნდა დამყარებულიყო მათი მოძავლი, ნახევრად ოფიციალური ურთიერთობა.

სისტემური ცვლილების გარეშე, ტაივანთან მჭიდრო ურთიერთობის დამყარება უპირველეს ყოვლისა, ჩინურ ეკონომიკას გამოაცოცხლებდა. ამას კარგად ხვდებოდა ღენ სიაოპინი — ჩინეთის კომუნისტური პარტიის ლიდერი, რომელსაც არასდროს ჰქონია მნიშვნელოვანი თანამდებობა, თუმცადა მისი გავლენა ჩინეთში ყოველთვის დიდი იყო.

სწორედ სიაოპინის ინიციატივა იყო ის, რომ ტაივანზე რეგისტრირებული უცხოურ ფირმათა ფილიალებს ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში რეგისტრაციაცა დადრ სთხოვდნენ.

შემდეგ ჩინეთის ბაზარი უშუალოდ ტაივანური ფირმებისთვისაც გაიხსნა. საპასუხოდ, ჩინურ ფირმებს გომინდანელებმააც პრევილევები მისცეს. ყოველივე ეს ღიდად წაადგა როგორც კონტინენტური ჩინეთის, ისე ტაივანის ეკონომიკას. რაც მთავარია, ეკონომიკურმა დახლოებამ ხელი შეუწყო დამბუღობის შემცირებასაც.

ამჟამად ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის პოზიცია ტაივანის საკითხზე უცვლელია, — პეკინი კუნძულის მთავრობას არალეგიტიმურად მიიჩნევს, თუმცადა მასთან მაინც აქვს ნახევრად ოფიციალური ურთიერთობა.

ჩინეთის სახალხო რესპუბლიკას დიპლომატიური ურთიერთობა არა აქვს იმ ქვეყნებთან, რომლებიც ტაივანის მთავრობას ცნობენ (სულ 23 ქვეყანა).

ტაივანის მთავრობაც პეკინის ხელისუფლებას უკანონოდ კი თვლის, მაგრამ მასთან ურთიერთობას არ წვევს. ამჟამად ტაივანელი დიპლომატები არც საერთაშორისო ადიარების მოპოვებას აღარ ცდილობენ, მაგრამ აქტიურად თანამშრომლობენ საერთაშორისო ეკონომიკურ ორგანიზაციებთან, რასაც პეკინი ხელს არ უშლის.

2001 წელს ტაივანის რეჟიმმა — ე.წ. „ჩინეთის რესპუბლიკამ“ უარი თქვა ძველ ტერიტორიულ რეგტენციებზე რამდენიმე სახელმწიფოსთან (რუსეთი, ტაივკეთი, ბერმა, ვიეტნამი, ინდოეთი, პაკისტანი) და ცნო მონღოლეთის სახელმწიფო, რომელსაც ჩამოყალიბების დროიდანვე (XX ს-ის 20-იანი წლები, გამოყო ჩინეთის რესპუბლიკას) სეპარატისტულ წარმონაქმნად თვლიდა.

მიუხედავად ამისა, ტაივანზე დღემდე მაინცა, რომ პეკინის მთავრობა არალეგიტიმურია, თავად კი ჩინეთის რესპუბლიკის სამართალმემკვიდრეზი არიან და ლეგიტიმაციაც აქვთ.

კუნძულზე დღითი დღე ძლიერდება სეპარატისტული განწყობაც, გაისძის ჩინეთისგან გამოყოფის მოწოდებები, მაგრამ ოფიციალური ტაიბეი ამას ქინადალმდგება, რადგან მაინც მისიზის, რომ ჩინეთი სამხედრო ძაღას გამოყენებს, თან არ ხელს ვითარების გართულებაც.


**ქვეყნები, რომლებიც
აზამამდ ცნობენ
ტაივანის მთავრობას**

- ბელჯი
- ბურკინა-ფასო
- გამბია
- გვატემალა
- ღომინიკანა რესპუბლიკა
- ვატიკანი
- კირიატები
- მარშალის კუნძულები
- ნაურუ
- ნიკარაგუა
- პალაუ
- პანამა
- პარაგვაი
- სალვადორი
- სენტ-კიტსი და ნევისი
- სენტ-ლუსია
- სენტ-ვინსენტი და გრენადინები
- სან-ტომე და პრინსიპი
- სოლომონის კუნძულები
- სეზილიენდი
- ტუვალუ
- უაიტო
- პონდურასი



ამერიკული ჯავშანბინიკა

ჯავშანავტომობილიანი, თვითმავალი
აკტილური და აქვილიზი



1920 წლის თვდაცვის აქტის შეზღუდვებმა ამერიკის ჯავშანსატანკო წარმოება დიდი დარტყმა მიიყენა, — ის საცდელ მოდელებს არ გასცდენია.

1920-35 წლებში გამოსაცემლ ტანკებთან ერთად ასევე აქტიურად მიმდინარეობდა კავალერიისთვის საცდელი ჯავშანავტომობილების შექმნა-დაპროექტება. დასაჯავშნი ობიექტის დანიშნულებას მტწწილად მსუბუქი ავტომობილები ასრულებდნენ.

პირველ მოდელებს თვლია ჯავშანკორპუსი ჰქონდათ და საკმარის პრიმიტიულიც იყო, მაგრამ ნაბიჯ-ნაბიჯ კონსტრუქციები სრულყოფილ სახეს იძენდა და გამოემართებოდა გამოცდილებაც მატვლობდა.

იმ პერიოდის ტიპური ნიმუშია 1933 წელს კავალერიისთვის აწოდებული White Motor Company-ის მწვერავლისა და მეკუჭმარის დანიშნულების მქონე T7.

მსუბუქი „უაიტის“ შასის (4X2) მოდერნიზაცია ჩაუტარდა და მქორე ხიდიც წამყვანად გადაკეთდა. ჯავშანკორპუსი კი თვლია დარჩა, მაშინ მაინდათ, რომ ასეთი ავტომობილები დაწვეურებისთვის უფრო მოსახერხებელი იქნებოდა.

გამოცდებ T7-მა საკმარის მაღალი სიჩქარე განავითარა და კარგი გამძლეობაც აჩვენა, ხოლო 1935 წლიდან M1 აღნიშვნით აშშ-ის არმიის შეიარაღებაში შევიდა.

სერიულად დაშვადებული 73 ჯავშანავტომობილი ფორტ-ნოქსში 1-ელი საკავალერიო ბრიგადის 1-ელ და მე-13 ჯავშანსაკავალერიო პოლკებს გადაეცა. ისინი აშშ-ის ტერიტორიაზე ჯარბთან ურთიერთქმედების ამოცანათა დამუშავებასა და ეკიპაჟების მოწვადებას ემსახურებოდნენ.

კომპანია Corbitt Company-ის T9 „უაიტის“ T7-ს ჰგავდა და დაჯავშნის სქემაც იგივე ჰქონდა, მაგრამ შასი ოდნე იყო დამოკლებული.

არმია T9-ითაც (სამხედრო აღნიშვნა M2) დაისტერესდა და 1935 წლიდან

წარმოებას შეუდგა, ხოლო 1937 წლიდან გაუმჯობესებული M2A1-ის აწოდებაზე გადავიდა.

ტანკების დაპროექტებით ცნობილმა Cunningham-მა კავალერიისთვის მხედრული-საცეცხლე ჯავშანავტომობილი განსხვავებული მიდგომებით დაუპროექტა.

კომპანიის სპეციალისტებმა ბაზად სამხდიანი (6X4) შასი გამოიყენეს. მათი აზრით ასეთი შასი კარგი დაჯავშნის საშუალებას იძლეოდა, ეკიპაჟსაც სხვრეც ემატებოდა და მეტი შეიარაღებისა და საბრძოლო მარაგის ტარება შეიძლებოდა.

1931 წელს საცდელად ორი ჯავშანავტომობილი T4 აიკო. დიდი წონისა და გაურკვევლი გამძლეობის მიუხედავად, T4 მაღალ სიჩქარეს ავითარებდა და სელის მარავიც საკმარისი ჰქონდა.

„კანინგემის“ ჯავშანავტომობილი შეიარაღებაში M1 აღნიშვნით შევიდა. მხოლოდ 10 ცალის აწოდების შემდეგ, 1934 წელს წარმოება შეწყდა.

ამერიკული ავტონარბილების გიგანტურ შესაძლებლობათა მიუხედავად, ქვეყნა ჯავშანავტომობილების აწვობაში გერმანიისა და ბრიტანიის

მიმდევრად ითვლებოდა. სხვა ქვეყნებშიც ამერიკულ ბორბლებთან მსუბუქ ჯავშანტექნიკას ნაკლებად იცნობდნენ.

გასული საუკუნის 30-იანი წლების დამდეგს ირანის შაჰმა რუნა ფეკლემა არმიის გადაარაღებას მოჰკიდა ხელი, ირანელი სამხედროები სხვადასხვა ქვეყანას შეიარაღების საუკეთესო ნიმუშებს უკველიან.

1932 წელს ირანელებმა საშუალო კლასის ჯავშანავტომობილების აწვობაზე კონტრაქტი Marmon-Herrington-სა და American La France-თან გააფორმეს.

კომპანია „მარმონ-პარინგტონი“ 30-იანი წლებში თვდაცვის სამინისტროს შეკვეთით სხვადასხვა დანიშნულების ყველაგანაყენისდიან ავტომობილებს აწვადებდა.

ამჯერად კომპანიამ ირანისთვის სტანდარტული კომპანიონისა და მილიანად დაჯავშული TH-310-ALF (4X4) შექმნა და ის 37 მ-იანი ქვემითთა და 7,62 მ-იანი ტყვიამფრეკვეთი აღჭურვა.

თვდაბარეკლად, შეთავაზუნა ამერიკის არმიამ მიიღო, მაგრამ სამხედროებმა დიდი მას-გაბარბიტების გამო დაიწუნეს. სავარაულოდ, იმვე მიზეზებით

M1: შასი — 4,0 ტ, ეკიპაჟი — 4 კაცი, კარბურატორიანი ძრვა — 75-ც.ძალიანი, სიჩქარე — 80,5 კმ/სთ-ში, შეიარაღება — 2 ტყვიამფრეკვეთი





ამერიკელ მწვერავთა ჯგუფი ჯაგმანავტომობილი M2-ით დაჯილდების შესასრულებლად მიემართება

ჯაგმანავტომობილი ირანელებსაც არ მოეწონათ.

„ამერიკენ ლა ფრანსმა“ გამოცდილება სახანძრო ავტომობილებისა და ავტომტვირთავების აწყოობით შეიძინა და ირანისთვის 1933 წელს Dodge TK-6-ის (4X4) შისიხე დაჯაგმნული ავტომობილი ააწყო.

5 კაცზე გათვლილი ეკიპაჟისთვის მანქანის შიდა სერჯე საკმაოდ ვიწრო აღმოჩნდა და მოცულობის გასაზრდელად

ლად გვერდითი ნიშები დაემატა, ხოლო ნიშებში გამოჭრილ კარებს ეკიპაჟის ჩასხდომა-გადმოსხდომისთვის იყენებდა.

საინტერესო იყო სათადარიგო ბორბლებს განლაგება. ბორბლები ბორტებზე ისე იყო დამაგრებული, რომ საჭიროების შემთხვევაში წამყვან ხიდებს დაბრკოლებათა დაძლევაში ემბარებოდა.

ირანელმა სამხედროებმა გაურკვე-

ვლი მიზეზებით ამერიკული TK-6-იც დაიწუნეს.

დაჯაგმნული ავტომობილების აწყობაში ძალია სამხედრო ინჟინერებაც მოსინჯეს.

ამერიკელმა არტილერიისტებმა 1928 წელს კავალერიისტებისთვის ორი ავტომობილი T1 Pontiac-ის (4X2) რადიატორი და საკარე მინა 6,35 მმ-იანი ჯაგმანავტომობილი შემოსეს. უჯაგმნო ძრავა და საბრძოლო განყოფილება დარჩა, — ასეთი იყო იმდროინდელი დაჯაგმნის ტენდენცია. თუმცა, სამხედრო ინჟინერებმა დროის ერთი მოთხოვნა მაინც გაითვალისწინეს და რადიოსადგურის დასაყენებელი ადგილი დაუტოვეს.


იმ პერიოდში მიღებულ ტენდენციებს არც სამხედრო ინჟინერებმა უღალატეს და 1930 წელს სახლგაო ქვეითებისთვის 1,5-ტონიანი Chevrolet-ის ბაზაზე დაჯაგმნული ავტომობილი ააწვეს.

თუმცა ამ შემთხვევისთვის ჯაგმანავტომობილი ძალიან ხმაძალი ნათქვამია, რადგან დაჯაგმნა მხოლოდ ძრავას შვეტო, ხოლო მძღოლი და მეტყველამფრქვევი დაუცველნი დარჩნენ!

ორიგინალური იყო აშშ-ის არმიის კაპიტანის რობერტ ჰოუმისა და სერჟანტ მაილის კონსტრუქციის საბრძოლო ავტომობილი.

გამომკონებლები იმ დასკვნამდე მივიდნენ, რომ დაჯაგმნული ავტომობილი ძვირი ჯდებოდა, რასაც სერიულ წარმოებასთან დაკავშირებული ორგანიზაციულ-ტექნოლოგიური სირთულეებით გამაწვეული ხარჯები ემატებოდა. იმ

T4: მასა — 4,46 ტ, ეკიპაჟი — 4 კაცი, ჯაგმანი — 6,35-9,53 მმ, კარბურატორიანი ძრავა — 133-ც.ხალიანი, სიჩქარე — 89 კმ/სთ-ში, სელის მარაგი — 402 კმ, შეიარაღება — ერთი 12,7 მმ-იანი და ორი 7,62 მმ-იანი ტყვიამტვრევი





Belly Flopper: გეიპაჟი — 2 კაცი, სინქარე — 45 კმ/სთ-ში, შეიარაღება — 7,62 მმ-იანი ტყვიამფრეველი

პერიოდში ყველაზე გავრცელებული 6-12 მმ-იანი ჯავშანი კი ეკიპაჟებს საიმედოდ მაინც ვერ იცავდა.

პოუმმა და მაილმა დაგვემეს მარტო, მაღალი გამკვლეობისა (4X4) და წარმოებისთვის მინიმალური დანახარავების მომტანი უჯავშნო საბრძოლო ავტომობილი, სადაც მძღოლი და მეტყვე ამფრეველი დაწოლილი მიათავსეს.

ძრავა, სამუხრუჭე და გადაბმულობის სატერფულები შასის უკანა ნაწილში გადაიტანეს, ხოლო საჭის დანიშნულებას ბერკეტები ასრულებდა. ფურცლოვანი რუსორების ხისტი დაკიდება ეკიპაჟს გადაადგილებას დიდ დისკომფორტს უქმნიდა და ამას არც პრემოსაბურავები შეელოდა.

1937 წლის იანვარში საცდელი ნიმუშის ავტო დასრულდა და **Belly Flopper**-ი პოლიგონზე გამოსადგულად გეიპანა.

დაბალი სილუეტის ავტომობილმა კარგი გამკვლეობა აჩვენა, მაგრამ მისთვის გამო სერიულ წარმოებაზე მაინც ვერ მიაღწია.

ინჟინერმა პრესტონ ტეკერმა დაჯავშნული ავტომობილი ავიაციასთან ბრძოლის საშუალებად მოსინჯა და დაჯავშნულ შასის (4X2)-ს 37 მმ-იანი ქვემეტი აღჭურვილი კომპურა დაუყენა.

საინტერესოა, რომ ტეკერის **Tiger Tank**-ი ამ დროისთვის გამოჩეულად დიდი სიმძლავრის 175-ცხ.ძალიანი ძრავით იყო აღჭურვილი და შეარსაფირანი გზებზე ლამის 120 კმ/სთ-ში სინქარით დაქროდა, მაგრამ დასერილ ზედაპირზე სამობროდ ერთი წამყვანი ხიდი საკმარისი არ აღმოჩნდა.

მაქსიმალურად დაცულ-დაჯავშნული ავტომობილის იდეამ 112-ე საკავალერიო პოლკის მეტყვეამფრეველა გუნდის შეთაური კაპიტანი ჯონ დანლუპი უცნაურ გადაწყვეტილებამდე მიიყ-

ვანა, — მან ოთხზე ბიზობალი კორპუსიდან გამოსწია და ჯავშანფურცლებში ჩასვა.

სამხედრო ინჟინერმა საინტერესო კონსტრუქციის კიდევ რამდენიმე დაჯავშნული ავტომობილი ააწყვეს, მაგრამ ყველა საცდელ ნიმუშად დარჩა. მოუხდრად ამისა, გამოჩნდა ის უზარმაზარი საინჟინრო-საწარმოო პოტენციალი, რომელმაც მსოფლიო ომის წლებში ქვეყნის სამხედრო რეზერვზე გადაყვანის საქმეში უმნიშვნელოფანესი როლი შეასრულა.

ქვემეტიების გამწვე ერთადერთი საშუალებად დიდხანს ცხენები რჩებოდა, მაგრამ ქვემეტიის კალიბრისა და მასის ზრდასთან ერთად ამ დანიშნულებით ცხენების გამოყენება სულ უფრო და უფრო ჭირდა.

ჯერ კიდევ პირველ მსოფლიო ომამდე გერმანიაში, ბრიტანეთსა და საფრან-

გეოში მექანიკურ გამწვეებზე დაიწყეს ფიქრი და პირველი ნიმუშებიც ააწყვეს.


ოდნე მოგვიანებით იმავე პრობლემის წინაშე აშშ-ის არმად დადგა და 1916 წელს გამოგონებულმა ჯონ ქრისტომ ამერიკულ სამხედროებს მარტოვე კონსტრუქციის 5-ტონიანი (4X2) გამწვე შესთავაზა.

მანქანამ ინტერესი გამოიწვია და გენერალმა ჯონ პერშინგმა მექსიკის სამხედრო ექსპედიციაშიც კი გამოიყენა, მაგრამ ერთი წამყვანი ხიდი კარგი გამკვლეობისთვის საკმარისი არ აღმოჩნდა და ამიტომაც დაიწუნეს.

ქრისტომ გამწვის უკანა ხიდიც წამყვანად გადააკეთა და სამხედროების მოთხოვნით მასზე 75 მმ-იანი საწინილო ქვემეტი დააყენა.

გამოცდაზე მოდერნიზებული გამწვე პოლტის მუხლუხა ტრაქტორის შასიზე შექმნილ საწინილო დანადგართან ერთ-

155 მმ-იანი საარტილერიო დანადგარი M1919: მასა — 20 ტ, გეიპაჟი — 4 კაცი, მომსახურე პერსონალი — 10 კაცი, კარბურატორიანი ძრავა — 120-ცხ. ძალიანი, სინქარე ბიზობლივით/მუხლუხებით — 20-32/16-25,7 კმ/სთ-ში





ამფიბია M1923: მასა — 7 ტ, კეობები — 3 ცალი, კარბურატორიანი ძრავა — 90-ცარი. ძალიანი, სიჩქარე ბორბლებით/მუხლებით — 64,4/29,8 კმ/სთ-ში, სელის ძრავი ბორბლებით/მუხლებით — 160/96 კმ, ცურვის სიჩქარე — 12,1 კმ/სთ-ში. ფოტოზე მარცხნივ გამოჩენილი ფან ქოცო

თად გამოიკვლია და მიუხედავად იმისა, რომ მისი საჭის მართვა საკმაოდ დიდ ფიზიკურ ძალას მოითხოვდა, თვდაცვის უწყებამ კიდევ ოთხი დანადგარი შეუკვთა.

საზენიტო 75 მმ-იანი ქვემეხით აღჭურვილი გამწე M1917 (არაოფიციალური დასახელება) ამერიკის არმიის პირველ თვითმავალ საარტილერიო დანადგარად ითვლებოდა.

პირველ წარმატებას 1917 წლის დეკემბერში ახალი შეკვთა მოჰყვა და ამჯერად 8-დუმიანი თვითმავალი პაუბიცის შექმნა იყო საჭირო.

მანამდე 8-დუმიანი პაუბიცა MKVI პოლტის ტრაქტორზე გამოიკვლია და უარყოფითი შედეგება დაიმსახურა.

ბორბლებიანი შასი სიჩქარითა და მანევრულობით მუხლებსა ჯობინდა, მაგრამ დასერილ ადგილებში ბორბლების გამოყოფა ბევრად კლებულობდა.

ქრისტომ ეს თვისებურებები გაითავალისწინა და გამოსავალი კომბინირებულ — მუხლუხა-ბორბლებიან შასიმ დაინახა. 1918 წლის ზაფხულში ან გვიან შემოდგომაზე ამერიკის არმია გამოსაცდელად ამ პრინციპით აწიობილი საარტილერიო დანადგარი M1918 (არაოფიციალური დასახელება) მიიღო.

მანძივე გამოჩნდა დანადგარი შასის კვანძების მექანიკური არასამიქრობა, მუხლუხების დაჭიმვის მექანიზმის გაუმართავე მუშაობა, რის გამოც მუხლუხები მიმართული ბორბლებიდან მუდმივად ვარდებოდა და სხვ.

ხარვეზების მიუხედავად, შეკვთა

350 დანადგარზე მასინ მოშადა, მაგრამ ომის დამთავრებისთან ერთად კონტრაქტიც გაუქმდა.

სიახლეებს მოწინააღმდეგეები არც ამერიკაში აცლდა და სამხედროებში გაჩნდა ცხენებისა და მექანიკური გამწეების ერთმანეთთან შედარების ოფა. თანაც ბოლო ვარიანტისთვის პოლტის ტრაქტორისა და ქრისტის ბორბლებიან-მუხლუხა მანქანა შეიკვთა.

რამდენიმეთვიანი შედარებით გამოცდის შედეგად კი ერთობ საყურადღებო დასკვნა გაუთვდა, სადაც მექანიკური გამწეების დაბალი საიმქრობა და ცუდი გამავლობა აღინიშნა და არტილერიის გამწევი ძალად რეკომენდაცია ოსვე ცხენებს გაქცა.

1920 წლის დასაწყისში სამხედრო უწყებამ ქრისტის 4,7-დუმიანი საზენიტო ქვემეხით აღჭურვილი თვითმავალი დანადგარი შეუკვთა.

გამომგონებლის სხვადასხვა საარტილერიო დანადგარისგან საზენიტო M1921 დიზაინითა და კონსტრუქციით გამოირჩეული იყო, მაგრამ ბორბლებიან-მუხლუხა შასის ხარვეზები არც ამჯერად აცლდა.

აბერდინის პოლიგონზე გამოირკვა, რომ საზენიტო ძალადი ქვემეხი სროლისას დანადგარის მფარობასა და გამავლობას ამცირებდა, ხოლო აუტორეგირების (გამოსაწევი საფრანგების) უქონლობის გამო სროლა პატარა კუთხებიდან შეუძლებელი აღმოჩნდა. დიდი მასის გამო კი ბორბლებით მოძრაობაც ერთობ გართულებული იყო. მარცხმა გამომგონებელი არ გატყ-

და მომდევნო მოდელს 3-დუმიანი საზენიტო ქვემეხი დაუყენა, მაგრამ ეს მცდელობაც უშედეგო გამოდგა.

ამ ნიჭური კაცის ყურადღების გარეშე არც მკურავი ტექნიკა დარჩა და 1921 წელს პირველი ნიმუში ააწყო.

ამფიბია M1921-ის შასის თვლების წინა წვეილი მართავდი, ხოლო უკანა ორი კი წამყვანი იყო და საჭიროების შემთხვევაში ბორბლებს მუხლუხები უკეთვლიდა.

ფოლადის ფურცლებით დამზადებულ მართკუთხა თვლია კორპუსის უკანა დახრეული ნაწილში ძრავა-ტრანსმისია იყო მოთავსებული, ხოლო წინა კი 75 მმ-იანი ქვემეხის დაემო.

წელში ამფიბია ორი სანიშე ხრახინი დახმარებით დაცურავდა. ბორტებზე დამატებული ფოლადის თხელი ფურცლებით შემოსილი ბალის ტიტეცები კი ცურავლობას უზრუნველყოფდა.

ამფიბიის მომდევნო მოდელის გამოცდას გაზეთმა „ნიუ-იორკ თაიმსმა“ ერთკლი წერილი მიუძღვნა და ყველა დაინტერესებული პირი დააპატიო.

1922 დეკემბრის ერთ ცეც დღეს ნიუ-იორკის ქუჩებში ენთისმსოფრეთათ თანდასწრებით ქრისტის ამფიბიამ M1922-მა ბორბლებით 40-48 კმ/სთ-ში სიჩქარით ჩაიარა და ნაპირს მიაღწა, საინანაც ბორანმა მდინარე უპონის მოპირდაპირე მხარეზე გადაიბანა.

ნაპირზე მექანიკოსებმა ამფიბიის მუხლუხები გაბართეს და მანქანა ნელ-ნელა 45-გრადუსიან ციცაბოზე ავიდა, შემდეგ ქვეით დაეშა და წყლისკენ წავიდა.

მექანიკოსებმა ახლა სანიშნე ხრახნები დაუყენეს და მანქანამ 2 მეტრამდე სიმაღლის ქვის კედელი დასძლია და წყალში ჩაეშვა.

მდინარის სივანე იქ დაახლოებით 3,2 კმ იქნებოდა და ამფობამ ეს წინააღმდეგობაც ადვილად გადალახა, მაგრამ სწრაფი დინების გამო ნაპირზე გამოივლია მონიშნული ადგილიდან ცოტა ქვევით შეძლო.


პუბლის ფორსირებაზე სულ 45 წუთი დაიხარჯა, ანუ საშუალო სიჩქარეზე 5 კვანძი შეადგინა, რაც ურიტო მანქანებზე არ იყო. წარმატებამ ქრისტის იმედი ჩაუსახა და ამფობის გაუმჯობესებული M1923 მოდელის შასის ბორბლების მე-4 წყვილი დაუმატა.

ამჯერად მანქანით სამხედრო-საზღვაო სარდლობა დაინტერესდა და განინდა სამხედრო-საზღვაო სწავლებებში მისი გამოცდის იდეა.

1923 წლის 27 დეკემბერს M1923 სახაზო ხომალდ BB-32 Wyoming-ის ბორტზე დაიტვირთა და უკვე ზღვაში ფოფინას მექანიკოსებმა მას 75 მმ-იანი ქვემეხი დაუყენეს.

ამფობია საზღვაო ქვეითა მე-5 პოლკს გადაეცა და დესანტირება კუნძულ კალიბარაზე მოელოდა.

ფარული დესანტირების იდეის შეხასიათებლად 1924 წლის 21 თებერვალს



Chevrolet Scout Car: მასა — 6,3 ტ, ეკიპაჟი — 4 კაცი, კარბურატორიანი ძრავა, სიჩქარე — 45 კმ/თ-ში, შეიარაღება — 7,62 მმ-იანი ტყვიამფრეველი

ამფობია წყალქვეშა ნუე S-20-ზე გადაიტანეს და სუბმარინა წყალზედა მგლო-მარეობაში კუნძულისკენ გაემართა.

კუნძულის ახლოს S-20-მა ჩაყენითა, ხოლო ამფობია კარგი ცურვადობის ხარჯზე წყლის ზედაპირზე დარჩა და საკუთარი სვლით ნაპირისკენ გაცურა, მაგრამ ღელვის გამო მექანიკოსმა ნაპირზე გასვლა ვერ გარისკა და უკან, სახაზო ხომალდისკენ წვიდა.

მეორე დღეს ღელვა ჩაცხრა, გამოცდა გააქორდა და ამფობია ნაპირზე მშვიდობიანად გუვიდა.

წარმატებული გამოცდის მიუხედავად, ქრისტის ეს გამოვლილება გამოვლინებადღე დარჩა და ამერიკელ სამხედროებს მისი გახსენება მეორე ომის დროს დასჭირდათ.

თმშურ ჩაჩანიძე

ყველა თაობის საყვარელი გაზათი 1934 წლისათვის

აღიშვებური რიკანი

მინისკვა, გორნაღო, სუნაჲი უკუპითით?!

2005 წლის აგვისტოში ქალაქ ახალ ორღანზე თავს დამტყდარმა ქარიშხალმა „კატრინამ“ ასეთი კატასტროფა გამოიწვია, რომ მსოფლიოს ყურადღების ცენტრში მოექცა. სპეციალისტების ასეთი მასშტაბური კატაკლიზმის წარმოშობის მიზეზის დადგენას შეეცადნენ და ერთ-ერთი ამერიკელი მეტეოროლოგის აზრით, ქარიშხალი, რომელმაც ათასზე მეტი კაცის სიცოცხლე შეიწირა, შეიძლება ხელოვნური წარმოშობის ყოფილიყო.

ეს განცხადება შეიძლება აბსურდად მოგვეჩვენოს, მაგრამ მას საუკებით რეალური საფუძველი აქვს, — ადამიანმა არცთუ დიდი ხნის წინ ამინდის მართვისა და ხელოვნური კლიმატის შექმნის გზა გამოიხაზა.

კაცობრიობის ისტორიაში ამინდზე ხელოვნური ზემოქმედების პირველი შემთხვევა 1946 წელს დაფიქსირდა. მაშინ ამერიკელმა ქიმიკოსმა ვინსტონ შატორმა მცინერის ოჯახზე 15 კგ შშრალი ფინული გაფანტა, რასაც ძლიერი თოვთ მოჰყვა.

გასული საუკუნის 40-იანი წლების ბოლოს, ხელოვნურად ნალექების შექმნის შესაძლებლობამ აშშ-ის აგარაულ სფეროში ბუმი გამოიწვია. ერთი ფერმაები ფერმერებს მოსაუღიანობის გასაზრდელად წვიმის ხელოვნურად გამოწვევას იყენებდნენ. ამერიკელი მეტეოლოგები და რაც მთავარია, ევექტურ საშუალებებს სთავაზობდნენ.

1964 წლის 26 მარტს აშშ-ში, ალასკის შტატის სანაპიროსთან, აქამდე ამ რეგიონისთვის არნახული სიძლიერის მიწისხერა მოხდა. მისმა ძალამ რიხტერის სკალით 8,5 ბალი შეადგინა, ხოლო ცუნამმა სანაპიროზე სამი დასახლება გაანადგურა.

ტრაგედიამდე ერთი წლით ადრე ამერიკელმა საინტერესო ექსპერიმენტი დაახტარეს. ორბიტაზე 20 სმ სიგრძის დაახლოებით 400 მილიონი სპილენძის ნემსი გაიტანეს. მიზიდულობის ძალის ზემოქმედებით ერთი წლის შემდეგ ისინი თანდათან ატმოსფეროში მოხვდნენ, დნობა დაიწყეს და ამან თბური ბალანსის მკვეთრი ცვლილება გამოიწვია.

გარაუდობენ, რომ 26 მარტს მიწისძვრა სწორედ ამ ექსპერიმენტის შედეგი იყო.

ტროპიკული ქარიშხლები ამერიკისთვის დიდი პრობლემაა. მხოლოდ „კატრინა“ ქვეყნის ბიუჯეტს 41 მლრდ დოლარი დაუჯდა. გრივალეებისა და ქარიშხლების პრობლემის შესწავლას ამერიკელები 60-იანი წლებიდან შეუდგნენ. პროექტი Stormfury სანაპიროსკენ მისაღვი გეოგრაფიისთვის გვიხ შეცვლის შესაძლო მეთოდებს იმიბდა. მეცნიერები ღრუბლებში ვერცხლის იოდის გაფანტვით გეოგაგლის სიმძლავრის შემცირებას ცდილობდნენ.

მაინცდამაინც დიდ წარმატებას ამერიკელებმა ვერ მიაღწიეს, მაგრამ სა-

ნაცვლოდ კოკისპირული წვიმის „გამაძახების“ მეთოდს მიაგნეს და სამხედროებმა მამონე საბრძოლო პირობებში მოსინჯეს.

1967-72 წლებში ამერიკელები ვიეტნამში ოპერაცია Popeye-ს ატარებდნენ. მისი მიზანი ვერცხლის იოდისგან შემდგომი კოკისპირული წვიმის გამოწვევა იყო. ოპერაციის მსვლელობის პირველვე დღეს იოდისგან განფანტვის ზონაში 23 სმ ნალექი მოვიდა. მთლიანობაში კი ამერიკელმა კლიმატურმა იარაღმა სამოქმედო რაიონში წვიმის სუნამი 30-დან 45-50 დღემდე, ხოლო ნალექების რაოდენობა კი 3-4 ჯერ გაზარდა.

გადაულებელი წვიმა ანადგურებდა ვიეტნამელია გზებს, ხიდებს, სამხედრო ინფრასტრუქტურას, მოსაუღოს, საცხოვრებელ სახლებს. ყოველდღე ეს ხელოვნურად ხდებოდა, რისთვისაც მხოლოდ ორი „პერკულესის“ ტიპის თვითმფრინავი იყო საჭირო. ოპერაციის მსვლელობისას ამერიკელმა თვითმფრინავმა 2602 გაფრენა შეასრულეს და ვიეტნამის ოჯახზე ვერცხლის იოდის 47 ათასზე მეტი კაფსულა გაფანტეს.

პენტაგონის კატეგორიული უარყოფის მიუხედავად, ექსპერტთა აზრით, ოპერაცია „აოპია“ იყო 1971 წელს ეიქსნამში კატასტროფული წყალდიდობის მიზეზი, რომელმაც ქვეყნის ტერიტორიის 10% მოიცვა.

„პოპია“ საბრძოლო პირობებში კლიმატური იარაღის გამოყენების პირველი და ერთადერთი ცნობილი შემთხვევაა.

ამ იარაღის უპირატესობა ის არის, რომ საკუთარ ტერაზე ამინდის მორგება, თუნდც მზისზე მეტწიანად, იმის გამოცხადებლადაც შეიძლება. მას ვერც ცოცხალ ძალას გაუნადგურებ. კლიმატური იარაღი უფრო ვიწროპროფილიანია. მისი გამოყენებით მტერ სახელმწიფოში ძლიერი გავლენის ან პირიქით, წვიმის გამოწვევა შეიძლება. ის სოფლის მეურნეობის პროდუქციას გაანადგურებს და ქვეყნის ეკონომიკას საფუძვლიანად შეარყევს. უამინდობას ნებისმიერი, მათ შორის უმდიდრესი ქვეყნის ვაიბეზეც კოლოსალური ზემოქმედების მოხდენა შეუძლია.

ამერიკელების წასვლის შემდეგ, ვიეტნამი საბჭოთა მეცნიერების საცდელ ასარუნხად იქცა. ამჯერად კვლევის საგანი ტაიფუნი იყო. „აეროფლოტის“ სიმბოლიკას ამოვარებული სპეცთიომფრინავები კუბის თავზეც დაფრინავდნენ. ისინი ტაიფუნების სუსტ წერტილებს ეძებდნენ და მათი მართვის მექანიზმების მოძიებას ცდილობდნენ.

70-იანი წლებისთვის გასაკები გახდა, რომ ადამიანს ძალუკის კლიმატური იარაღის შექმნა. საჭირო იყო ამ პროცესის შეჩერება, რადგან დამანგრეველი ძალით კლიმატური იარაღი ატომურს არ ჩამოუკარდებდა.

1977 წელს გაერომ კლიმატური იარაღის გამოყენება აკრძალა. კონვენცია კრძალავდა გარემოზე ხელოვნურ ზემოქმედებას და კლიმატური საშუალებების სამხედრო მიზნით გამოყენებას. მაგრამ ამინდზე ზემოქმედება არა

შხოლოდ ქიმიური მეთოდით შეიძლება. არანაკლებ ეფექტური საშუალებაა ძლიერი ელექტრომაგნიტური ტალღებით იონოსფეროს დასხუება.

ატმოსფეროს დამუხტული ნაწილაკების მუშევრით ამინდის გაკონტროლებისა და ცვლილების შესაძლებლობას ამერიკელები ჯერ კიდევ 50-იანი წლებიდან სწავლობდნენ.

მისწეულია, რომ ელექტრონებითა და იონებით სასუე ატმოსფეროს იმ ნაწილში, რომელიც 50 კმ-ის ზეით ვრცელდება, ელექტროენერჯის გადაცემა და ატმოსფეროს ტემპერატურის რეგულირება შეიძლება.

გასული საუკუნის გენიოსი ფიზიკოსი ნიკოლა ტესლა აშშ-ში კოლორადოსპრინგსში ელექტრომაგნიტურ იმპულსებზე ცდებს ატარებდა. ტესლამ ირწმუნებოდა, რომ მას ღამით ოკეანის განათება იონოსფეროში არსებული ნაწილაკების გაცხელებით შეეძლო. ტესლამ ბუნებრივ პირობებში ელექტროენერჯის გადატანის მეთოდიც აღმოაჩინა.

1908 წლის 30 ივნისს ციმბირში მომხდარი მოვლენის ახსნა სპეციალისტებს დღესაც უჭირთ მდინარე ტუნგუსკის მახლობლად, დილის 7 საათზე, ჩრდილო-დასავლეთის მიმართულებით უზარმაზარმა ცეცხლის ბურთმა ჩაიფრინა და 7-10 კმ სიმაღლეზე წარმოუდგენელი სიმძლავრით აფეთქდა.

მეცნიერთა მტკიცებით, აფეთქების ძალა 40-50 მეგატონას შეადგენდა და იმდენად ძლიერი იყო, რომ 2 ათას კვ კმ ფართობზე ყველა ხე წააქცია, ხოლო ამის შედეგად წარმოქმნილი ტალღა მსოფლიოს ითიქმის ყველა სეისმოლოგიურმა სადგურმა დააფიქსირა. სკანდინავიისა და ცენტრალური ციმბირის

თავზე კი რამდენიმე დღე ცის ინტენსიური ნათება (ბოლარული ციალის მსგავსი) შეიმჩნეოდა.

ოფიციალურად ითვლება, რომ ტუნგუსკაში მეტეორიტი ჩამოვარდა, მაგრამ ვერც ერთმა ექსპედიციამ მის ფრაგმენტებს ვერ მიაგვლია. მომხდარზე 20-ზე მეტი ვერსია არსებობს და ერთ-ერთი ტესტის ექსპერიმენტებს უკავშირდება.

ვარაუდობენ, რომ დედამიწაზე კლიმატის ცვლილებასა და ბუნებრივ კატასტროფების ატომური იარაღის გამოცდაც იწვევს.

50-იან წლებში ამერიკელებმა ჩატარეს რამდენიმე ექსპერიმენტი, რომლის დროსაც ატმოსფეროში სხვადასხვა სიმაღლეზე ატომური მუხტების დეტონაცია ხდებოდა. ამ ცდებით მოწინააღმდეგის ელექტრონიკის მწიფობიდან გამომდინარე ვგზს ეჭვდნენ. ატომური მუხტის ამოქმედების შემდეგ წარმოქმნილ ძლიერ ელექტრომაგნიტურ ტალღებს ასეველი კოლომტრის რადიუსში ნებისმიერი ელექტრული მოწყობილობა მწიფობიდან გამოჰყავს.

ამერიკელების ექსპერიმენტებიდან სულ რამდენიმე თვეში ჩილეში რამდენიმეჯერ ძლიერი მიწისძვრა მოხდა.

სსრკ-ში, სემიპალატინსკის პოლიგონზე, ატომური იარაღის გამოცდის შემდეგ კი მიწისძვრები ირანში ფიქსირდებოდა. ვარაუდობენ, რომ ტექტონიკური ფალები შეპარაბიების ადგილას მცირე ატომური ბომბის აფეთქებას კოლოსალური სიმძლავრის მიწისძვრის გამოწვევა შეუძლია.

ცუი იმის დროს საბჭოთა კავშირის საკმაოდ ამბიციური გეგმა ჰქონდა და წყალქვეშა ნაგებობა ატლანტის ოკეანის ფსკრზე, აშშ-ს ტერიტორიის მახლობლად, დიდი სიმძლავრის ბირთუ-

ამერიკელების მტკიცებით, HAARP-ის გამოყენება სამეცნიერო მიზნით ხდება, მაგრამ ექსპერტების აზრით, მისი გამოყენებით მეტეოროლოგიური ექსპერიმენტები ტარდება





ბუნებრივი კატაკლიზმებისა და სტიქიების უმდიდრესი ქვეყნის ბიუჯეტზეც კოლოსალური ზემოქმედების მოხდენა შეუძლია

ლი მუხტების განთავსებას აპირებდა. მათი ერთდროული დეტონაცია გამოიწვევდა კოლოსალური ძალის ცუნამის, რომელიც თავს დაატყდებოდა ამერიკის აღმოსავლეთ სანაპიროს. ამ დღეს აუტორი, წყალბადის ბომბის შექმნელი ანდრეა საზარეო იყო.

მსგავსი აზრები ამერიკელებსაც აწუხებდათ არსებობდა პროექტი Project Seal-I, რომლის ფარგლებში ახალი ზელანდიის მახლობლად, წყალქვეშ, მცირე სიძლიერის ბირთვულ მუხტებს აფეთქებდნენ. პროექტის დანიშნულება და სხვა დეტალები დღესაც მკაცრად გასაიდუმლოებულია.

1964 წელს საბჭოთა კავშირმა უძლიერესი მეტეოროლოგიური რაკეტა MP-12 შექმნა და მისი გამოყენებით კოსმოსში პლანეტური ღრუბლების წარმოქმნის ექსპერიმენტები ტარდებოდა. **250-300 კმ სიმაღლეზე ლითიუმის განფანტვით კოსმოსში იქმნება ინფრაწითელი სხივებისთვის გაუგალი ღრუბლები, რომლებიც ნებისმიერ რადიოსიხნალებს აბზობენ.**

სსრკ ამ მიღწევებს შვედობიანი მისნითაც იყენებდა. მაგალითად, 1980 წელს მოსკოვის ოლიმპიადანაც სპეციალური მეტეოეკსპერიმენტი დედაქალაქის თავზე შთან აძინდა უზრუნველყოფდა. სხვათა შორის, 6 წლის შემდეგ ამ

საავიაციო ქვედანაყოფს საკმოდ ექსტრემალურ პირობებში მოეწია მუშაობა.

ჩერნობილის ატომურ ელექტროსადგურზე აერიის შემდეგ ავიარაზში გადაიყვანეს უკრაინაში, სადაც წვიმის მოსვლიათვის ხელი უნდა შეეშალა, რადგან წვიმა რადიაქტიურ ნარჩენებს ნიადაგში ჩაიტანდა. ამიტომაც ესკადრიალი ამ რაიონში მზიანი ამინდის გარანტი იყო.

გეოფიზიკური კვლევებისთვის 70-იან წლებში ქალაქ ნიჭინ-ნოვოგოროდიდან 150 კმ-ის მოშორებით აშენდა საიდუმლო კომპლექსი „სურა“, რომელიც ექსპლუატაციაში 1981 წელს შევიდა და მისი მიზანი იონოსფეროს შესწავლა იყო. „სურას“ მაღალი სიხშირის გამოსხივებით იონოსფეროს რომელიმე უბნის გაცხელება და პლანეტისთვის შექმნა შეუძლია. პლანეტისა და მაგნეტური ველის ამ ნარევის კი კოლოსალური ენერჯია აქვს.

პლანეტა, ანუ ნიუთონების მე-4 მდგომარეობა, 1878 წელს აღმოაჩინეს. ამ ტერმინის ავტორი კი 1923 წელს ამერიკელი ფიზიკოსი ირეინ ლენგ მური გახდა. თეორიულად პლანეტის საშუალებით ანერჯის გადატანა ნებისმიერ დისტანციაც შეიძლება. ცივი ომის დროს ამერიკელები და რუსები პლანეტური

იარაღით ბალისტიკური რაკეტების განადგურებასაც გეგმავდნენ. **1992 წელს რუსეთში საარტილერიო პოლიგონ „ვლადიმირ-30“-ზე საიდუმლო ვითარებაში პლანეტური იარაღის გამოყენების პირველი ცდა ჩატარდა.** სპეციალური გენერატორებით შეიქმნა პლანეტური დერეფანი, რომელშიც მონხვედრილმა საარტილერიო ჯურემა მიმართულება შეიცვალა და მიზანს ასცდა. მიზნულა, რომ თვითმფრინავზე პლანეტური იარაღის ზემოქმედებით საფრენი აპარატი აშვე მალას დაკარგეს.

„სურას“ მსგავსი ობიექტი ამერიკელებსაც აქვთ — კომპლექსი HAARP-ი ალასკაზე. ოფიციალური განცხადებით, ის პოლარული ცილის შესასწავლად შეიქმნა. 14 ჰექტარ ფართობზე განლაგებულია 24 მ სიმაღლის 180 ანტენა, რომლებიც მაღალი სიხშირის გამოსხივებას ახდენენ. **კვლევებთან ერთად ცივი ომის დროს ამერიკელები HAARP-ს წყალქვეშა ნაგებთან კავშირისთვისაც იყენებდნენ.** დღეს კი კომპლექსი იონოსფეროს მსოფლიოში ვეფლავზე ძლიერი გამაცხელებელია და მისი სიძლიერე 3600 კილოვატია.

ამჟამად უსახსრობის გამო რუსული „სურა“ წელიწადში მხოლოდ 100 სი თუ შეუძობს. სამკვიროდ, აშშ HAARP-ის პროგრამაზე ვოლფლიურად ბიუჯეტთან 300 მილიონ დოლარს გამოყოფს. კომპლექსი წელიწადში 2000 სი-ს შეუძობს.

ამერიკელები ამტკიცებენ, რომ კომპლექსი მხოლოდ სამეცნიერო კვლევებს ემსახურება. თუმცა, საწინააღმდეგო აზრიც არსებობს და მეცნიერთა ერთი ნაწილი თვლის, რომ **HAARP-ის მიერ იონოსფეროს გაცხელებამ დედამიწის ნებისმიერ წერტილში შეიძლება კატაკლიზმები გამოიწვიოს.**

ალექსანდრა ავაძიაძე

XXI საუკუნეშიც კი ბუნებრივი სტიქიის წინააღმდეგ ადამიანი უძლეული რჩება





ჩაბოა არ მოეწონა მოსკოვს ქუთათუკი ჯავუანბეჟნიკა?

ქუთაისის ავტოქარხნის საცდელი ობიექტების თაობაზე არსენალოში დებუქტილიმა სტატამ (იხ. 2011 წლის №24) მკითხველთა ინტერესი გამოიწვია და მათ შორის არიან ავტოქარხნის ის თანამშრომლები, ვინც და პროექტება-გამოცდებში უუჯალოდ მონაწილეობდა.

ზურაბ კირტავა (საკონსტრუქტორო ექსპერიმენტული განყოფილების უფროსი): „ქუთაისის საავტომობილო ქარხანა 1951 წლიდან უშუქებდა სატვირთო Ka3-150-ებს, უნაგვრა გამწე Ka3-120T-ს, ბამბის საზიდ მისაბმელ Ka3-716-თან ერთად, თეთიმკლელ Ka3-585B-ებსა და Ka3-600-ებს.

ჩვენი ავტომობილები „ზილის“ ქარხნის ЗИС-150-თან იყო უნიფიცირებული და მოსკოვიდან ვიღებდით კაბინას, ჩარჩოსა და ზოგიერთ სხვა კუბისა თუ აგრეგატს, რის გამოც წარმოება რენტაბელური არ იყო და სახელმწიფო დოტაციას საჭიროებდა.

საკეპირო მთავრობა ქუთაისის ქარხნის სათადარიგო ნაწილების წარმოებაზე გადაეყვანასაც კი განიხილავდა, რასაც ჩვენი რუსუბლიკის ხელმძღვანელობის წინააღმდეგობა მოჰყვა და 1957 წელს დადგა საკუთარი კონსტრუქციის

ავტომობილის შექმნის საკითხი, რათა „ზილის“ ქარხანასთან რაც შეიძლება ცოტა საერთო გვექონოდა“.

1956-65 წლებში ქარხნის დირექტორ შალვა კიკნაძის მეთაურობით: „1957 წლის დასაწყისში საკეპირო-სავტომობილო მრეწველობის მინისტრმა ნიკოლოზ სტროკინმა მითხრა, რომ ჯავუანბეჟნიკის და შექმნილი ჯარების აკადემიის უფროსი, ჯავუანბეჟნიკის უფროსი მარშალი პავლე როტმისტროვი ეძებდა ისეთ ქარხანას, სადაც აკადემიის სპეციალისტები ქარხნის კონსტრუქტორებთან ერთად ჯავუანბეჟნიკის სპორტორს დააპროექტებდნენ, სამუშაო ნახაზებს დაამზადებდნენ და პირველი ნიმუშების აგება-გამოცდასაც შექმნიდნენ“.

როტმისტროვთან შეხვედრის შემდეგ, 1957 წლის ბოლოს, ქარხანა საპროექტო სამუშაოს არაოფიციალურად შე-

უდგა, ხოლო 1958 წელს საკეპირო მინისტრთა საბჭოს დადგენილების საფუძველზე მუშაობა ოფიციალური გახდა.

ჩაბოა ღოსოი:

1954-57 წლებში მოსკოვში ჯავუანბეჟნიკის და შექმნილი ჯარების აკადემიაში რეაბორტოიანი (8X8) ჯავუანბეჟნიკის პროექტის ესკიზური პროექტი მომზადდა.

აკადემიის „სავტომობილო ტექნიკის“ კათედრის გამგის, გენერალ-მაიორის, პროფესორ გიორგი ზიმიძის ხელმძღვანელობით პროექტზე სპეციალისტთა ჯგუფი მუშაობდა.

პროექტი იმ პერიოდის საბჭოთა სხვა ჯავუანბეჟნიკის პროექტებისგან სიახლეებით განსხვავდებოდა:

— გამოყენებული იქნა კომპონენტების ახალი სქემა: ძრავა-გადაცემათა კოლოფი ცხვირიდან კორპუსის კონიში გადავიდა, რითაც ის სატვირთო ავტომობილების ბაზაზე წყობილი BTP-40-ისა და BTP-152-ისგან განსხვავდებოდა;

— ხიდების ადგილი ყველა ბორბლის ინდივიდუალური დაკიდების მქონე H-ებრმა ტრანსმისამ დაიკავა;

— საბჭოთა წარმოების ბორბლებიან სამხედრო ტექნიკაზე პირველად გააიარა პრობირება პიდრონემატურმა (ზოგან გამოყენებულა ტერმინი „პიდრონემატური“) დაკიდების სისტემამ;

— ვაეშანტრანსპორტიორი უჩარჩოლ იყო აწიობილი, ანუ ეს იყო მზიდი, მილდინად დახურული ვაეშანტრანსპორტი, რომელსაც ცურვაც უნდა შესსებოდა;

დაპროექტებაზე 300-კაციანი კოლექტივი ქარხნის მთავარი კონსტრუქტორის, დიმიტრი ქართველიშვილისა და მისი მოადგილის, სიმონ ბათიაშვილის ხელმძღვანელობით შრომობდა.

სამუშაო ნახაზები ძალე გაეცოდა, ხოლო 1959 წლის გაზაფხულზე პირველი საცდელი ობიექტის — 1015-ის აგებაც დასრულდა.

საკონსტრუქტორ ბიურო N3-ის (ობიექტის კორპუსი) უფროსი ნოდარ სანდუხაძე: „საცდელ ობიექტს ჰქონდა დახურული და ტყვიამედვი ვაეშანტრანსპორტი, რომელიც კონსტრუქციული ფოლადის ფურცლებისგან ავტოქარხანაში გამოიჭნა და შედულებით დამზადდა. შუბლის მხარეს 10 მმ-იანი, ხილი ბორტებში კი 8 მმ-იანი ფოლადის ფურცლები გამოყენებოდა.“

7,62 მმ-იანი PKT-ს ტიპის ტყვიამფრქვევით აღჭურვილი კოშკურა რუსეთიდან გამოხადებული ჩამოვიდა და კორპუსში წყენ ჩაყამონტაჟებოდა.

კორპუსის კიჩოდან კარბურატორიაანი ძრავის მბრუნავი მოძენტის ხიდებამ-

დე მიეკანისთვის H-ები ტრანსმისია, გვერდითი რულეტორები და გიტარული გადაცემატი გამოყენებოდა. წყალზე ცურვისთვის ობიექტი ორი წყალსატყორნი ამბრავით იყო აღჭურვილი.

ვარისკაცების ჩახსდომა-გადმოსხდომისთვის კორპუსის სახურავს ოთხი დიდი დიუკი ჰქონდა, რომლებიც ბორტის მხარეს იხსნებოდა და ასეთი მდგომარეობაში გარკვეულიწოდ დამატებით ვაეშანტრანსპორტის დანიშნულებასაც ასრულებდა.

პიდრონემატურმა დაკიდებამ ვაეშანტრანსპორტიორს სელის ძალიან ძალადი სიმდგრე შეხდინა, გაუმჯობესდა გამეულობისა და ცურვის ხარისხი.

შემოქმების მინებით კორპუსზე წყლიანი ჰქიქას ვეგამდით და ობიექტის დამების მოძენტში ჰქიქიან წყალი არ იღვრებოდა.

პიდრონემატურმა დაკიდებამ მძღვლო-მექნიკოს კლორენსის რგულირების საშუალება მისცა, რაც ბორბლებიანი სამხედრო ტექნიკის გამეულობის გაუმჯობესების საუკეთესო საშუალებაა“.

ზურაბ კირტავა: „პიდრონემატური დაკიდების სისტემა საუკომობილო საქმეში სრულიად ახალი სიტყვა იყო და დაპროექტებისას ყველაზე მეტი სირთულეები მასზე მუშაობისას შევხვებოდა.“

მისი შექმნა ოწვავი ლებანისეს დევადა და უნდა თიქვას, რომ ამ დევალებას თავი შეხანიშნავად გაართვა. ქართული კონსტრუქტორის ნამუშევრმა

სამხედრო აკადემიის სპეციალისტთა დიდი მოწინება დამისხურა და მას საშუალოდ მოსკოვში გადასვლასაც კი სთავაზობდნენ. ლებანისის გამოგონებაზე შემდგომი პრაერთი დისერტაცია დაიცულს“.

გამოცდის დროს გამოთქმულ შენიშვნათა გათვალისწინებით ავტოქარხანაში ორი მომდევნო საცდელი ობიექტი 1015-5 ავიცო.

